გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N35 (9179) 21 დეკემბერი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი

# პოლიტიკურად აქტიური ბარბაროზა სამტრედიაში

2



## დახურული სხდომის დასრულების შედეგი



2

## „ქართული ოცნება" პირველმა ქეთევან ივანაშვილმა დატოვა "პარტიაში ჩემი ყოფნის აუცილებლობას ველარ ვხედავ"

3

## ჯერ მარცხი „ნაციონალები", მერმე დამხობაც...

## იმედა ბოხავა: "მარტივი არ არის უსუფაშვილთან, ბერძენიშვილებთან ადგილი დაიმკვიდრო"

4

## ვალერიანე ფოცხვერია: "შესრულებული სამუშაოების ხარისხით კმაყოფილი ვარ!"

4

## ისევ წყალს გატანებულ მილიონებზე ?

## სპექტაკლში უარყოფითი გმირის თემა



6

## ივერი ჯულაყიძე საქართველოს ჩემპიონია 23 წლამდე ასაკის მოჭიდავეთა შორის



# პოლიტიკურად აქტიური

## დახურული სხდომის დასრულების შემდეგ

თეა ბაბუნაშვილი

## რაია, რა ხდება აქანე?!

*ამ დიდ საეკლესიო დღესასწაულს თუ მართლა ბედობის ძალაც აქვს, სამტრედიული პოლიტიკური აქტივობა მთელი წელი, ყოველ შემთხვევაში მეორე ბარბარობამდე, პიკში უნდა იყოს. ასეთია 17 დეკემბრის სტატისტიკა. საკრებულოს შენობაში "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერების სტუმრობით დაწყებული შუადღე, კულტურის ცენტრში "ქართული ოცნების" რაიონულმა კონფერენციამ დააგვირგვინა. დარბაზი აქაც და იქაც სავსე იყო, ოღონდ მათი მოცულობა გახლდათ განსხვავებული. თუ ჯერ კიდევ სამი წლის წინ "ნაციონალები" ავსებდნენ კულტურის ცენტრის პარტერსა და იარუსს, ახლა "ქართულმა ოცნებამ" აავსო იგი მეოცნებეებით და ასე ვთქვათ, "ლოჟაც დაიკავა". "ნაციონალები" ამჯერად საკრებულოს სააქტო დარბაზს დასჯერდნენ ასავსებად. ქართული პოლიტიკური ერთგულებისა რა მოგახსენოთ, ისედაც სახეზე გახლდათ კულტურის ცენტრში ოცნებაში წასულთა ერთ დროს ნაციონალური ფიქრები.*

*შუალედში კი ის ფრაზა იყო, სათაურად რომ გამოგვადგა, ანუ ერთი სამტრედიელის ინტერესმა ჩვენებური აქცენტით, ამდენი ხალხის თავშეყრის დანახვისას _ რაია, რა ხდება აქანე? _ ზედმიწევნით ზუსტად ასახა ორივე შეხვედრის პოლიტიკური ფილოსოფია.*

*"აქანეც" და "იქანეც" წესით ის ხდებოდა, ქვეყნის ბედსა და უბედობაზე დაფიქრებულის იმიჯმომარჯვებული ადამიანების თავშეყრისას რომ უნდა ხდებოდეს. არჩევნების მოახლოების წინ პოლიტიკური ფორიაქი უმრავლესობა-უმცირესობას კოჭებში ეტყობა. ახლო მომავალში, სავარაუდოდ, კიდევ ბევრჯერ გაოცდება ამომრჩეველი სასიკეთოდ თუ პირიქით. არჩევნების შედეგებამდე კი მოვლენები ქუჩა-ქუჩა, დარბაზ-დარბაზ ვითარდება დაგეგმილ-დაუგეგმავი კულმინაციით.*



## "ქართული ოცნება" ქართულად მეოცნებეთათვის

ამომავალი მზის დისკო ეროსი მანჯგალაძის კულტურის ცენტრის სცენაზე "ქართული ოცნების" ბანერმა შეცვალა. ეს სპექტაკლის შემდეგ მოხდა, ნოდარ დუმბაძის "მე ვხედავ მზეს" სოსოიას და ხატიას ცხოვრებისეულ არჩევანზე რომ ჰყვებოდა. მერე ქვეყნის მთავარი პოლიტიკური ძალა რაიონული ორგანიზაციის ლიდერზე არჩევანის გასაკეთებლად ხმაურით იკრიბებოდა. რეგისტრაცია დაიწყო და "ქართული ოცნების" დელეგატად ბევრი დარეგისტრირდა, უფრო მეტად ისეთები, მსგავს "ნაციონალურ" შეკრებებზე მთელი ძალით რომ უკრავდნენ ტაშს. თუმცა, არც ამჯერად აკლდათ თანამოაზრის პათოსი.

კონფერენციის დაწყებამდე უმრავლესობის ლიდერს საკრებულოში ჯერ ისევ ხმაურიან, რანგირების კანონით გაზრდილ ხელფასებზე ვკითხეთ. ტარიელ დვალიშვილი ამ საკითხზე მას შემდეგ ალაპარაკდა, რაც თანაქალაქელებს ბარბარობის დღესასწაული მიულოცა. ჟურნალისტებს შეახსენა, რომ სხდომის იმ ნაწილს, ეს საკითხი რომ იხილებოდა, საერთოდ არ დასწრებია, დარბაზი ცოტა ხნით ადრე დასტოვა. ასე საკუთარი თავშეკავება დავაფიქსირეო, აღნიშნა. ერთი სიტყვით, იგი მტკიცე უარზე მდგომთა ხუთეულში არ ყოფილა. რაც შეეხება ასარჩევ კანდიდატურას, ჩემგან გინდათ გაიგოთო? კითხვითვე გვიპასუხა კითხვაზე, ვისზე შეაჩერებდა საკუთარ არჩევანს. რამდენჯერმე მოგვიწია განმეორება, რომ არა წინასწარი საერთო გადაწყვეტილების, მისი პირადი არჩევანის გამხელას ვთხოვდით, რა თქმა უნდა, თუ ამის სურვილი თავად ჰქონდა. ვალერი ფოცხვერიას, როგორც პატიოსანი და სანდო კაცის არჩევის გადაწყვეტილება ტარიელ დვალიშვილმა საკუთარ სურვილადაც გაგვანდო და საერთო გადაწყვეტილებადაც.

"ჩემი პოზიცია იმით არის გამოხატული, რომ ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და დღეს დელეგატი გახლავართ. გახმოვანებული მაქვს საკუთარი არჩევანი პარტიის ადგილობრივი ხელმძღვანელის პერსონასთან დაკავშირებითაც, დღემდე ვალერი ფოცხვერია ხელმძღვანელობდა მას და მინიმუმ, მომდევნო საანგარიშო კონფერენციამდე უხელმძღვანელებს." _ ეს საკრებულოს წევრის ზაზა ადეიშვილის მოსაზრებაა, ჯერ კიდევ კონფერენციის დაწყებამდე გამხელილი.

არა მარტო პარლამენტარის, უბრალო სამტრედიელის სტატუსითაც ვარ აქო, ოთარ ჩრდილელმა. თუ ფორმატი საშუალებას მომცემს, საკუთარ ხმასაც შევაშველებ ჩემთვის მისაღებ კანდიდატს, თქვა მან. თუმცა, პოლიტიკური გამჭრიახობის გამოც, სასურველი კანდიდატის ვინაობა საიდუმლოდ დატოვა.

"არჩევნები ახლოვდება და პარტიული საქმიანობა გააქტიურდება. ეს ჩვეულებრივი ამბავია." _ მაჟორიტარი გიორგი კახიანი ასე კონფერენციის დაწყებამდე საუბრობდა.



პარტიის აღმასრულებელმა მდივანმა გიორგი კობახიძემ პარტიის გენერალური მდივნის კახი კალაძის მოსვლამდე მედიასთან კომენტარი გააკეთა: "აქტიურად დავიწყეთ პარტიული აღმშენებლობა-გაძლიერების პროცესი. კონკრეტული გეგმა გვაქვს დასახული, რომლის პრიორიტეტიც რაიონული ორგანიზაციების გაძლიერებაა. ამის ერთი ნაწილია კონფერენციები, რაიონებში რომ ტარდება, რის შემდეგაც განახლებული შემადგენლობით ჩამოყალიბდება ყველა საოლქო ორგანიზაცია. ამის შემდეგ უფრო აქტიურ ფაზაში გადავალთ."

უშუალოდ კონფერენცია და ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარის არჩევის პროცესი მედიისთვის დახურული გახლდათ, დარბაზში მოსახდენი მთავარი ამბავი კი, კონფერენციის დაწყება-დახურვა-დასრულებამდე უკვე ცნობილი, და არა მარტო მისთვის. კონფერენციას, რომელზეც 146 დელეგატიდან 140-მა გაიარა რეგისტრაცია, კონფერენციის მდივანი ბეჟან გეგეშიძე უძღვებოდა. "ქართული ოცნება _ დემოკრატიული საქართველოს" სამტრედიის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ ვალერი ფოცხვერია, ბიუროს წევრებად: გიორგი ბოჭორიშვილი, მარინა ნადირაძე, ხვიჩა ფანცულაია, ოთარ წულეისკირი და ლაშა რუსია აირჩიეს. აქვე ისიც, რომ მას "აირაის" წარმომადგენლობა საქართველოში აკვირდებოდა. დახურული სხდომის დასრულების შემდეგ, ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარის პოსტზე მისი მოქმედი თავმჯდომარის, ვალერი ფოცხვერიას კვლავ არჩევის ამბავი შევიტყვეთ. დარბაზიდან გამოსულმა პარტიის გენერალურმა მდივანმა და ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ კი აღნიშნა: "კონფერენციების ჩატარება რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეების ასარჩევად ქვეყნის მასშტაბით, დაწყებული გვაქვს. პარტიის მუშაობის ზოგადი შეფასება, ვფიქრობ, ჩემგან უხერხულია. ეს თქვენ, სამტრედიელებმა, ქვეყნის მოსახლეობამ უნდა შეაფასოთ. თუმცა, რაიონში მნიშვნელოვანი პროცესები განხორციელდა, თუნდაც გაზიფიცირება, გზის საფარის სამუშაოები და სხვა. ეს პროცესები მომავალშიც გაგრძელდება, მეტი დაფინანსება წამოვა და მოსახლეობა მის მასშტაბებს დაინახავს." სად, თუ არა იქ, კახი კალაძემ იმ სიახლეებზე ისაუბრა, მომავალი წლიდან რომ ელოდება ქვეყანას: "აუცილებლად გაგრძელდება ყველა ის სოციალური პროექტი, რაც დაწყებულია. და ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ხალხი ცოტას არ ამოისუნთქავს და ფეხზე არ დადგება."

იმ პროექტებზე, მომავალ წელს სამტრედიის ეკონომიკას წინსვლისკენ ნაბიჯი რომ უნდა გადაადგმევინოს, საუბრობდა იმერეთის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე კონფერენციის დასრულების შემდეგ: "ამ ორი კვირის განმავლობაში პირადად მე ველოდები ორ ინვესტორს საქმიანი წინადადებებით. ჩაფიქრებული გვაქვს, ახალსოფელში, ბაძგნარს რომ ეძახიან იმ ტერიტორიაზე, დიდი ლოჯისტიკური ცენტრის მოწყობა. არის ერთი-ორი მონახაზი სოფლის მეურნეობის მიმართულებით და ვფიქრობთ, უცხოეთიდან ერთი ქარხნის ჩამოტანას." რაც შეეხება არჩეულ კანდიდატს, მან წარმატებები უსურვა ვალერი ფოცხვერიას.

და დღის კულმინაცია სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ უკვე მეორედ არჩეული ვალერი ფოცხვერიას კომენტარი გახლდათ. "პარტიის გენერალური მდივანი, კახი კალაძე ნდობას რომ გამოგიცხადებს, პატარა საქმე არ არის. უფრო დიდი საქმეა, შენი თანამებრძოლები, მეგობრები, საზოგადოება რომ გენდობა. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს სასიამოვნო ფაქტია. გვინდოდა კონფერენცია ვიწრო წრეში ჩაგვეტარებია, მაგრამ ვერ მოვახერხეთ, რადგან პარტიის წევრების და მომხრეების დასწრების სურვილი დიდი გახლდათ. უბრალოდ, კულტურის სახლი ამდენს ვერ დაიტევდა." _ აღნიშნა მან.

რაც შეეხება გამოცხადებულ ნდობას, ახლად არჩეულ, უფრო სწორად, კვლავ არჩეულ თავმჯდომარეს სჯერა, რომ მას გაამართლებს. მისი ეს სიტყვები საუბარს შემოსწრებულმა ყოფილმა ჟურნალისტმა, ოთარ ჩრდილელმა, დღეს პარლამენტარის ამპლუაში განამტკიცა: "მომავალ არჩევნებში "ქართული ოცნება გაიმარჯვებს, რა თქმა უნდა, ვალერისთან ერთად!" აღმოჩნდა, რომ ვალერი ფოცხვერიას კანდიდატურა ამ პოსტზე თავდაპირველად სწორედ მან დაასახელა.

## "ქართული ოცნება" პირველმა ქეთევან ივანაშვილმა დატოვა
## "პარტიაში ჩემი ყოფნის აუცილებლობას ვეღარ ვხედავ"

ნინო ნანიტაშვილი

*მპგ "ქართული ოცნების"*
*თავმჯდომარეს, ბატონ ი. ღარიბაშვილს,*
*გენერალურ მდივანს,*
*ბატონ კ. კალაძეს,*
*სამტრედიის რაიონული*
*ორგანიზაციის თავმჯდომარეს,*
*ბატონ ვ. ფოცხვერიას,*
*ამავე პარტიის დამფუძნებლის,*
*ყრილობის დელეგატის*
*სამტრედიაში, საიათნოვას 33-ში მცხოვრები*
*მოქ.: ქეთევან ივანაშვილის*

*<u>გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა</u>*

***ბატონებო, მოგმართავთ განცხადებით პარტიის რიგებიდან გასვლის შესახებ.***

"ქართული ოცნების" სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის კონფერენციამდე სამი დღით ადრე ამ ტექსტით ქეთევან ივანაშვილმა რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს, ვალერიანე ფოცხვერიას მიმართა.

იგი დარწმუნებულია, რომ მისი პარტიიდან გასვლის განცხადება უკვე დანარჩენ ადრესატებამდეც მისულია. პროცედურების მიხედვით მას პარტია "ქართული ოცნების" რაიონული ორგანიზაციის ბიურო განიხილავს.

სამტრედიაში კი ამის შესახებ უკვე ხმამაღლა საუბრობენ. ამდენად, ბევრს თვალში არ მოჰკლებია და არც გაჰკვირვებია, 17 დეკემბერს ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დარბაზში ქეთევან ივანაშვილის არყოფნა, სადაც "ქართული ოცნება" რიგით მე-3 პარტიულ კონფერენციას მართავდა. თუმცა პარტიის დატოვების ფაქტი სამტრედიაში მაინც ბევრი მითქმა-მოთქმის საბაბი გახდა. საზოგადოებისთვის გაუგებარია, რატომ გავიდა პარტიის რიგებიდან ქალბატონი, რომლის სახელს უკავშირდება სამტრედიაში "ქართული ოცნების" რაიონული ორგანიზაციის ჩამოყალიბება. 2011 წლის შემოდგომიდან მის ბინაში კონსპირაციულად იკრიბებოდნენ ოპოზიციურად განწყობილი ადამიანები, იქვე შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომლის წევრებიც მოგვიანებით პარტიის დამფუძნებლები გახდნენ.



"სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა ქეთევან ივანაშვილს და გადაწყვეტილების შესახებ კომენტარი სთხოვა: "პარტიაში ჩემი ყოფნის აუცილებლობას ვეღარ ვხედავ. მიმაჩნია, რომ რაღაც ეტაპზე გავაკეთე, რაც საჭირო იყო, წვლილი შევიტანე "ნაციონალური მოძრაობის" არჩევნების გზით დამარცხების საქმეში. დღეის მდგომარეობით ვამჯობინებ ვიყო აპოლიტიკური, არ ვაპირებ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან თანამშრომლობას, ვრჩები პარტიის თავმჯდომარის, ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერად, მჯერა და მწამს მისი. ვიცი, რომ ბატონი ირაკლი პარტიის საქმიანობას სწორი კურსით წარმართავს. მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, ვინც არ შეუშინდა "ნაციონალურ" რეჟიმს, იმ დროს დადგა ჩემს გვერდით სამტრედიაში "ქართული ოცნების" გუნდის შესაქმნელად".

ძნელია, ამ კომენტარის იმ ადამიანებმა ირწმუნონ, ვინც ქეთევან ივანაშვილს კარგად იცნობს და ზოგადად იცის "ქართული ოცნების" მიმართ მისი განწყობა: ამიტომაც ამბობენ, რომ ქეთევან ივანაშვილი პარტიას არ დატოვებდა, სერიოზული მიზეზი რომ არ არსებობდეს.

# ბარბაროზა სამტრედიაში

## ერთ მხრივ „ნაციონალები", მურმან დუმბაძეც...

თეა ბაბუნაშვილი

***ეს არის წერილი, რომელიც სამი წლის წინ, ალბათ, არც დაიბეჭდებოდა, იმიტომ, რომ ოპოზიციური სპექტრის წარმომადგენლების კომენტარებითაა გაჯერებული. ასე მის დაწყებას სამართლიანობა მოითხოვს. მით უმეტეს, როგორც ცოტა ქვემოთ წაიკითხავთ, დღეს ოპოზიციაში მყოფი ყოფილი უმრავლესობის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ, რომ საკუთარ შეცდომებზე ბევრი ისწავლეს.***

დაახლოებით ამგვარად გიგი წერეთელი საუბრობს, თუმცა, სანამ მის კომენტარამდე ჩავალთ, ამბავი ასე დაიწყო: “სამტრედიის მაცნესთვის” ამ შეხვედრის შესახებ ცნობილი მისი დასრულების შემდეგ გახდა. ამიტომ, ქვეყნის მთავარი ოპოზიციური ძალის ლიდერებისგან, მხოლოდ კომენტარები ჩავწერეთ საარჩევნო პროცესების ირგვლივ, სხვა არაერთ თემასთან ერთად ბოლო დროს ხმაურის მიზეზი რომ გახდა. როგორც “ნაციონალური მოძრაობის” სამტრედიის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ემზარ შუბლაძემ აგვიხსნა, საკონსტიტუციო ცვლილებათა კომისიის წევრები მის თავმჯდომარესთან ერთად ამომრჩეველთან შესახვედრად ამჯერად სამტრედიაში ჩამოვიდნენ. სამტრედიაში იმიტომ, რომ კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე იგი, როგორც საარჩევნო ოლქი მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა. კომისიას მურმან დუმბაძე ხელმძღვანელობს. მისი წევრები როგორც უმცირესობის, ისე უმრავლესობის წარმომადგენლები არიან.



ბარბაროზა დღეს ქართული პოლიტიკისთვისაც კი უცნაური სპექტრი, “ნაციონალები” მურმან დუმბაძესთან ერთად, სამტრედიელ ამომრჩეველს მოახლოებული არჩევნების ფორმატზე ესაუბრებოდნენ. აღნიშნა კიდეც აკაკი ბობოხიძემ, სამტრედიას “ნაციონალები” და მურმან დუმბაძე ერთად დაებედაო. რას უნდა მოასწავებდეს ეს, ნამდვილად გაუგებარია. ვერ გეტყვით, ახლა რომელი ხელის გახმობის ან დასნეულების საშიშროება აქვს თავად დუმბაძეს, იმ შეხვედრაზე საარჩევნო ცვლილებებს თუ უცვლელობას, ერთ დროს, მისივე შეფასებით, პოლიტიკურ მტერთან ერთად რომ აპროტესტებდა. ემზარ შუბლაძე კი აღნიშნავდა: “უმრავლესობის წევრები კომისიაში კი არიან, მაგრამ შეხვედრებზე არ დადიან, რადგან არ იზიარებენ იმ ფორმატს, რეგიონალურ-პროპორციული მოწყობა რომ ჰქვია. ამგვარი არჩევნების ჩატარებას თავის დროზე დღეს უმრავლესობაში მყოფი მაშინდელი ოპოზიცია სთხოვდა ხელისუფლებაში მყოფ “ნაციონალურ” მოძრაობას, რაზეც ჩვენ უარი ვთქვით 2008 წლის არჩევნებში. ჩვენი უარი დასაბუთებული იყო.”

დასაბუთებული კი იმით გახლდათ, რომ მაშინდელი ოპოზიცია კატეგორიულად აცხადებდა, თუ იგი არჩევნებს არ მოიგებდა და 100 დეპუტატით არ იქნებოდა წარმოდგენილი, საერთოდ არ შევიდოდა პარლამენტში. ამ შემთხვევაში მმართველ გუნდს ყველაზე დიდი 90 დეპუტატის გაყვანა შეეძლო. “სხვათა შორის, იმის მომხრე, რასაც ჩვენ ახლა ვითხოვთ, მაშინ ზვიად ძიძიგურიც იყო.” _ განსაკუთრებით აღნიშნა ემზარ შუბლაძემ. იმ დროისთვის ხელისუფლებამ არ მიიღო ეს კანონი, რადგან “ოპოზიციის პროტესტის ნიადაგზე, ღრმა კრიზისში შედიოდა ქვეყანა.” _ დასძენს იგი.

დარბაზში, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელიც იჯდა, საუბარი საარჩევნო ცვლილებას ეხებოდა, მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემის ნაცვლად რეგიონალურ-პროპორციულ მოწყობას რომ ითვალისწინებს. შეხვედრა არა შეხვედრისთვის, არამედ საზოგადოების აზრის მოსასმენად და გასათვალისწინებლად შედგა, ყოველ შემთხვევაში სტუმრები ასეთ ფორმულირებას აძლევდნენ მას. ამასთანავე თვლიდნენ, რომ იგი სულაც არ იყო მხოლოდ ოპოზიციის მომხრეთათვის განკუთვნილი, რადგან მათ აზრს უმრავლესობის არაერთი წარმომადგენელიც იზიარებს. “ჩვენ ამ საკონსტიტუციო ცვლილებას ბოლომდე მივიყვანთ. ხელისუფლება დათმობაზე უნდა წავიდეს. თუ არა და, იქნებ საბოლოო ჯამში ვადამდელი არჩევნების ჩატარება მოუწიოთ. თვითონაც არ უარყოფენ, რომ ოპოზიციის შეთავაზებული მოდელი კარგია, მაგრამ 2020 წლიდან განვახორციელებთო. რატომ მაშინ, როცა შეიძლება ახლა! იციან, რომ სხვანაირად სკამებს ვერ შეინარჩუნებენ.” _ კატეგორიულია ემზარ შუბლაძე.

“საკონსტიტუციო ცვლილებათა კომისია მიზნად ისახავს, სხვადასხვა რეგიონში საზოგადოებას გააცნოს კონსტიტუციური ცვლილების არსი, რომელიც საარჩევნო სისტემას უკავშირდება. და ეს მდგომარეობს იმაში, რომ არსებული სისტემა შეიცვალოს არა ისე, როგორც ამას ხელისუფლება გვთავაზობს, დაჩეხილი საარჩევნო ოლქების სახით, არამედ, ისე, რასაც საქართველოში მოქმედი ყველა ოპოზიციური პარტია უჭერს მხარს და შეკრიბა კიდეც ამისთვის 200 ათასი მოქალაქის ხელმოწერა. ეს მოგეხსენებათ, მდგომარეობს იმაში, რომ არჩევნები რეგიონალურ-პროპორციული სისტემით ჩატარდეს. ამჯერად შემოთავაზებული მოდელი ემსახურება იმას, რომ ივანიშვილმა შესძლოს ხელისუფლების შენარჩუნება. არადა, თვითონაც ამბობენ, რომ ეს მოდელი არ ვარგა, თანაც ყველაფერს აკეთებენ ამ ფორმით შეინარჩუნონ მმართველობა.” _ სტუმრობის მიზეზს ხსნის პარლამენტარი უმცირესობიდან, გიორგი ბარამიძე.



სერგო რატიანი არ თვლის, რომ ეს იყო ოპოზიციის შეხვედრა საზოგადოებასთან. მით უმეტეს, რომ დარბაზში ადგილობრივი ხელისუფლების წევრებიც ისხდნენ და ამ კომისიის შემადგენლობაც ითვლის დეპუტატებს უმრავლესობიდან, თუმცა, ისინი ამჯერად წარმოდგენილები არ გახლდნენ. “დღევანდელი მთავრობა ეწინააღმდეგება არა იდეას, არამედ დროს, იმიტომ, რომ ახლოვდება არჩევნები. ხელისუფლება ამბობს, რომ ბოლოჯერ, მაგრამ ამჯერად გავაკეთოდ სხვანაირად და მერე შევცვალოთ. სხვანაირად ნიშნავს იმას, რომ ეს არჩევნები ჩატარდება უსამართლო გარემოში და არ იქნება ლეგიტიმური. პირველად სამტრედიაში ჩამოვედით, რადგან სამტრედიის მაგალითზე ყველაზე თვალსაჩინო იყო, როგორ ჩეხავდნენ საარჩევნო ოლქებს. ეს მოდელი კონკრეტულ პოლიტიკურ ძალაზეა მორგებული, რათა მან ადვილად მოიგოს არჩევნები. ვფიქრობთ, ჩვენმა მცდელობამ შედეგი გამოიღო, რადგან მუშაობენ სხვა პროექტზეც. ვნახოთ, რამდენად გამართული იქნება იგი. აქვე ისიც, რომ ავტორიტეტული გამოკითხვებით “ნაციონალური მოძრაობა” პირველ ადგილზეა.” _ ეს სერგო რატიანის მოსაზრება გახლავთ.

სამტრედიის ხონზე მიერთება თვით ხონელი აკაკი ბობოხიძისთვისაც მიულოდნელი აღმოჩნდა: “ძალიან მიხარია, თუ ხონელებს, ვანელებს და სამტრედიელებს საერთო საქმე გამოგვიჩნდება, მაგრამ ეს არ უნდა იყოს საარჩევნო ოლქი! ვთვლი, რომ მათ უნდა ჰყავდეთ სხვადასხვა დეპუტატი. ბარბაროზას სამტრედიას არა მარტო ჩვენ, მურმან დუმბაძეც დაებედა. თუმცა, ვინ დაებედება ამ რაიონს, ეს მხოლოდ სამტრედიელების გადასაწყვეტი იქნება.”

ამ საკითხის ირგვლივ მოსახლეობის მოსაზრებების მოსასმენად ჩამოსული გიგი წერეთელი თანამებრძოლების მსგავსად ოპოზიციაში ყოფნისას ფიქრობს, რომ მათ მიერ შეთავაზებული პროექტი, უფრო სწორად, პროექტი, რომელიც ოპოზიციაში ყოფნის დროს ახლანდელ უმრავლესობასაც ჰქონდა, უფრო ეფექტურია. წინასაარჩევნოდ კი, “ვუთხარი კიდეც შეხვედრაზე სამტრედიელებს, რომ ბარბაროზას ჩვენ სამტრედიას, სამტრედია კი ჩვენ დაგვებედა. თუკი გავიმარჯვებთ, გაცილებით მეტად, ვიდრე ეს იყო ხელისუფლებაში ჩვენი ყოფნის დროს, ვიქნებით ჩართული ადამიანების პრობლემების მოგვარებაში, სამუშაო ადგილების შექმნაში, ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში. ის ხარვეზები და შეცდომები რაც გვქონდა, რა თქმა უნდა, გაანალიზებულია და გვყოფნის იმდენი ჭკუა-გონება, რომ ისინი არ გავიმეოროთ.” _ ეს გიგი წერეთლის პირობაა.

რაც შეეხება მურმან დუმბაძეს, მისი კომენტარის გარეშე დავრჩით... უბრალოდ, მან გაგვასწრო.

# ხონვანს+ვანხონი≠სამტრედიას?!

თეა ბაბუნაშვილი

***ენის გასატეხი ტოლობად თუ უტოლობად გადაკეთდა. ჯერჯერობით გადაწყვეტით ვერა, თუმცა მიახლოებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იქნებ ის არ მოხდეს, რისი წინააღმდეგიც იყო ოპოზიცია, უმრავლესობის ნაწილი და მთელი სამტრედია.***

***იქნებ “ხონვანი” და “ვანხონი” არა სამტრედიას, არამედ ერთმანეთს უდრიდეს. თუმცა, ეს ყველაფერი ისევ ვარაუდის დონეზეა. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტში საკითხის მეორედ მოსმენამდე ასეა.***

მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატი, კონსტიტუციონალისტი, პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომისიის თავმჯდომარე, გიორგი კახიანი ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაბეჭდილ წერილშიც აცხადებდა, რომ არ ეთანხმებოდა უმრავლესობის მიერ შემოთავაზებულ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ამგვარ ფორმას. ამბობდა, რომ შეეცდებოდა დაერწმუნებია შესაბამისი პირები ამ სისტემის არალეგიტიმურობასა და არამართებულობაში.

“ქართული ოცნების” პარტიული კონფერენციის წინ, საკონსტიტუციო ცვლილებეის კომისიის სამტრედიაში სტუმრობიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, მან ჟურნალისტებთან განაცხადა: “დღეს, იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომაზე მეორე მოსმენით იყო განხილული საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები. მოგეხსენებათ, ერთ-ერთი მათგანი სწორედ სამტრედიას ეხება, ანუ, როგორ იქნება იგი წარმოდგენილი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში. აქამდე საუბარი იყო მის ორ ნაწილად გაყოფაზე მეზობელ ხონსა და ვანზე მისაერთებლად. კომიტეტმა გაიზიარა ჩვენი შენიშვნები და მოსაზრებები. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სამტრედია დარჩეს ისე, როგორც აქამდე იყო, ანუ დამოუკიდებელი საარჩევნო ოლქი და იგი არ მიუერთდეს არც ერთ მუნიციპალიტეტს. ეს კომიტეტზე მიღებული დღევანდელი გადაწყვეტილებაა. ხვალ პლენარულ სხდომაზე ამ საკითხს განიხილავენ და იმედი მაქვს, რომ პარლამენტი მას მხარს დაუჭერს. თუ ასე მოხდა, სამტრედიას ცვლილება საარჩევნო თვალსაზრისით აღარ შეეხება.”

გამოსავალი მოიძებნა. ხონის და ვანის საარჩევნო ოლქების გაერთიანებით, ამომრჩევლის რაოდენობა აკმაყოფილებს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილ სტანდარტს. ასეთ შემთხვევაში სამტრედია უწინდებურად დამოუკიდებელი საარჩევნო ოლქის სტატუსით გამოვა საარჩევნო მარათონში.

თუმცა, ეს ყველაფერი მაშინ, თუ მეორე მოსმენით პლენარული სხდომა გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს.

P.S. წერილი დასაბეჭდად მზად იყო, როცა პარლამენტმა კანონპროექტს მხარი დაუჭირა



# გილოცავთ!

ლევან გაბეჩავა

მოქმედი და ყოფილი ხელისუფლება, საპარლამენტო თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია, საპატრიარქო და პატრიარქი, საზოგადოება დიდი სიხარულით, სიამაყით შეხვდა ყოველი ქართველისათვის სანუკვარი ოცნების რეალიზებას _ ევროკომისიის მიერ საქართველოს შესახებ პოზიტიურ დასკვნას, რომელიც ევროპის 30 ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეების უვიზო მიმოსვლის უფლებას ადასტურებს.

სამეცნიერო, სასწავლო მივლინებები, ბიზნესპარტნიორობა, მკურნალობა, ტურიზმი... ნაწილია იმ საქმიანობისა, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს რომ შეეძლებათ კანონით დადგენილ იმ პერიოდში (90 დღე), რომლითაც მათ აქვთ უფლება ერთჯერადად დაჰყონ ევროპაში.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, როგორც აღვნიშნეთ, ქართული პოლიტიკის წინგადადგმულ ნაბიჯს უწოდებს ყოველივეს.

ყველაზე მთავარი ისაა, რომ პოზიტიური დასკვნა ვრცელდება მთლიან საქართველოზე, ამდენად, ჩვენ აფხაზ და ოს ძმებს, რომლებიც მიიღებენ საქართველოს სახელმწიფოს პასპორტს, შეეძლებათ ამ სიკეთით ისარგებლონ. _ აღნიშნავენ პოლიტიკოსები.

საქართველოსა და ქართველ ხალხს მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენს ქვეყანაში საზღვარგარეთიდან აკრედიტებულმა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა მიულოცეს.

ევროპული ღირებულებები საქართველოსა და ქართველ ხალხს, ქართული კულტურის, ხელოვნების, ისტორიისადმი მეტი წვდომა ევროპულ ოჯახს _ ასეთია ევროკომისიის პოზიტიური დასკვნის მომავალი.

18 დეკემბერი მნიშვნელოვანი დღეა ამიერიდან საქართველოს ისტორიაში!

# იმედა გოგავა: „მარტივი არ არის უსუფაშვილთან, ბერძენიშვილებთან ადგილი დაიმკვიდრო"

**ნინო ნანიტაშვილი**

***საქართველოს „რესპუბლიკელები" წელს მე-16-დ შეიკრიბნენ. 6 დეკემბერს თბილისში საგამოფენო დარბაზ „ექსპო-ჯორჯიას" შენობაში ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ პარტიის წევრთა თავმოყრა მოხდა. ყრილობას 2200 დელეგატი ესწრებოდა. პირველი „რესპუბლიკელის" ანგარიშის მოსმენის შემდეგ ახალი ეროვნული კომიტეტი უნდა აერჩიათ, რომელიც მოგვიანებით საკუთარი შემადგენლობიდან ახალ ხელმძღვანელს აირჩევდა.***

ყრილობაზე სამტრედიიდან თბილისში 32 „რესპუბლიკელი" გაემგზავრა. მათ შორის გახლდათ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, იმედა გოგავა. ეს უკანასკნელი ეროვნული კომიტეტის წევრობის კანდიდატად იყო დარეგისტრირებული. თუ რა ავტორიტეტით სარგებლობს იმედა გოგავა, ამაზე ყრილობის ბოლოს დადებული შედეგები მეტყველებს. სულ 69 კანდიდატი იყო დარეგისტრირებული. ყრილობის დელეგატებს, ანუ 2200 კაცს უნდა აერჩია პარტიის მმართველი ორგანო 35 სუბიექტის შემადგენლობით. შედეგებმა აჩვენა, რომ იმედა გოგავას კომიტეტის წევრობას მხარი 1000-მდე დელეგატმა დაუჭირა, რაც ახლად არჩეული კომიტეტის შემადგენლობაში მე-15 ადგილი აღმოჩნდა. იმედა გოგავა ამ ფაქტს პარტიის რიგებში მისი აქტიური და ნაყოფიერი მოღვაწეობით ხსნის. ახარებს ის, რომ პარტიის ყრილობა მის დაბადების დღეს დაემთხვა. „პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ „რესპუბლიკელების" ყრილობა აბსოლუტურად განსხვავებულია სხვა პარტიების მსგავსი თავყრილობებისაგან. კერძოდ, ჩვენთან ტარდება სუფთა, გამჭვირვალე, ობიექტური არჩევნები, რომელსაც ყველაზე ცნობილი კანადური საარჩევნო კომპანია უზრუნველყოფს. ხმის მიცემა და დათვლა ელექტრონულად ხდება. ფაქტობრივად, 5-ოდე წუთში ცნობილია საბოლოო შედეგები. პროცესი იმდენად გამჭვირვალეა, რომ 5 წელია, არ მახსენდება, ვინმეს იგი გაეპროტესტებინოს. რაც შეეხება ჩემს მხარდაჭერას და მე-15 ადგილს. აღსანიშნავია, რომ „რესპუბლიკური" პარტია ლიდერთა რაოდენობით გამორჩეულია. ამდენად, კონკურენცია მაღალია და მარტივი არ არის, რომ უსუფაშვილთან, ბერძენიშვილებთან, ხიდაშელთან, ხაინდრავასთან ადგილი დაიმკვიდრო. ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა, რომ პარტიის წევრებმა გამომარჩიეს და მათ სიახლოვეს მიმიჩინეს ადგილი. აქვე აღსანიშნავია, რომ ჩემი გვარის და სახელის შემდეგ წამოვიდა თბილისის საკრებულოს წევრი. გულიკო ზუმბაძე, საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ნოდარ ებანოიძე, პარლამენტარები: ფრიდონ საყვარელიძე, თემურ ნერგაძე და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, თენგიზ შერგელაშვილი. ასეთი შედეგი მეტ მოტივაციას მანიჭებს. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ თანაპარტიელების ასეთი დიდი ნდობა მაქსიმალურად გავამართლო".

6 დეკემბერს საგამოფენო დარბაზ „ექსპო-ჯორჯიაში" „რესპუბლიკური" პარტიის თავმჯდომარე, ხათუნა სამნიძე ყრილობის წინაშე ორწლიანი ანგარიშით წარსდგა. პოლიტიკურმა მდივანმა, ლევან ბერძენიშვილმა პარტიის აწმყოსა და უახლოეს მომავალზე ისაუბრა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა თავის გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა კოალიცია „ქართული ოცნებაში" „რესპუბლიკელების" როლსა და მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ „რესპუბლიკელები" ყოველთვის სანდო პარტნიორები არიან. იქვე შენიშვნაც ჰქონდა, კოალიციის სპეციფიკა მეტ კონკრეტულობას მოითხოვს.

ეროვნულმა კომიტეტმა პარტიის თავმჯდომარედ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობითა და ორი წლის ვადით ხათუნა სამნიძე აირჩია.

# ძარცვა ძარცვის შემდეგ




10 დეკემბრის ღამეს სკოლა „ცოდნა" გაიძარცვა. ეზოს უკანა მხრიდან, საპირფარეშოს ფანჯრიდან გადავიდნენ მძარცველები შენობაში. დერეფანში გასულებმა გატეხეს ბუფეტის კარი, საიდანაც გატანილია ნავაჭრი ფული. აგრეთვე, მოპარულია საქმის მწარმოებლის კომპიუტერი, მოსამზადებელი ჯგუფიდან DVD-ი. წასაღებად გამზადებული დახვდათ ქსეროქსის აპარატი. 112-ში 11 დეკემბრის დილით სამსახურში პირველად მისულმა თანამშრომელმა დარეკა, რომელმაც სკოლის კარი გააღო. პოლიცია ოპერატიულად მივიდა შემთხვევის ადგილზე.

„20 წელია, სკოლა არსებობს და ასეთი შემთხვევა არ გვქონია. სამწუხაროდ, დერეფანში დამონტაჟებული ვიდეოთვალი არ მუშაობდა. ერთი თვეა, სარემონტო სამუშაოების შემდეგ ელექტროგაყვანილობაში რაღაც ცდომილება მოხდა. მისი დაცვის ოთახში გადატანას ვაპირებდით და შესაბამისი სამუშაოები უნდა ჩაგვეტარებია." _ ამბობს სკოლის დირექტორი მარინა ნადირაძე, რომელიც ძარცვის დღეს განათლების სამინისტროში ტრენინგზე იმყოფებოდა. როგორც მან აღნიშნა, პოლიციამ ბევრი ნივთმტკიცება აღმოაჩინა თითების ანაბეჭდებთან ერთად. მძარცველებს დარჩათ ის ნივთები, რომლითაც კარი გატეხეს.

პარასკევს, 11 დეკემბერს სკოლა ხელოსანს დაუკავშირდა გატეხილი კარისა და ფანჯრის აღსადგენად. თუმცა, 15 დეკემბრის ღამეს მძარცველები მეორედ შევიდნენ შენობაში. ამჯერად სახანძრო სტენდზე არსებული ნივთებით გატეხეს საკმაოდ სქელი კედელი და „ინტელექსპრესის" სეიფი. ეს დაწესებულება სკოლას ემიჯნება წინა ფასადის მხრიდან, მათ ერთი კედელი აქვთ. წაღებულია ფული და ოქროს ნივთები. ამ ინფორმაციას სკოლის დირექტორი მარინა ნადირაძე გვაძლევს, რადგან პოლიციის თანამშრომლებმა და ბანკის წარმომადგენლებმა კომენტარისგან თავი შეიკავეს.

„ვფიქრობ, ეს ერთი მონახაზი იყო ბანკის გასაქურდად. სკოლას დარაჯი არ ჰყავს. ის ოთახები, სადაც ტექნიკაა, აყვანილია დაცვაზე, რომლის მუშაობითაც კმაყოფილები ვართ, კარის გაღებაზეც კი რეაქცია აქვთ დაცვის თანამშრომლებს. გარდა ამისა, ეს კერძო სკოლაა და დღის მეორე ნახევარში აქ მუშაობას კოლეჯი იწყებს. გვიანამდე ყოველ დღე მეც აქ ვარ. მსგავსი შემთხვევა ჯერჯერობით მართლა არ გვქონია." _ დასძენს მარინა ნადირაძე.

ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება.

*თეა ბაბუნაშვილი*

# ერთობლივი შეხვედრები მუნიციპალურ დონეზე

**ლევან გაბეჩავა**

საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი კორპსი" და მისი პარტნიორი ორგანიზაცია _ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, ევროპის სამეზობლო პროგრამის ფარგლებში, შეხვედრებს მართავს მუნიციპალურ დონეზე.



შეხვედრების მიზანია, კოოპერატივებს საშუალება მიეცეთ ისაუბრონ, თუ რა დამატებით დახმარებებს საჭიროებენ ისინი, რა პრობლემები დგას მათ წინაშე და ერთობლივად მოძებნონ პრობლემათა გადაჭრის გზები.

16 დეკემბერს მუნიციპალიტეტის გამგეობაში შეხვედრა სწორედ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გამართეს, რომელსაც სოფლებში, მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის სპეციალისტები ესწრებოდნენ.

გამოითქვა აზრი, რომ მსგავსი შეხვედრები ხელს შეუწყობს საქართველოში კოოპერატივების კიდევ უფრო მოქნილ, რენტაბელურ საქმიანობას, მოწინავე გამოცდილებათა გაზიარებას და ა.შ.

„მერსი კორპსი" და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი ხელს უწყობენ აგრეთვე კოოპერატივებისა და თავისთავად კოოპერატორთა ინტერესების დაცვას.

საქართველო აგრარული ქვეყანაა და სოფლის მეურნეობის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში ალტერნატივა არ გააჩნია, ეს აზრი გამოიკვეთა 16 დეკემბერს გამართულ ამ შეხვედრაზეც.

_ დროულია მსგავსი გაცნობითი ხასიათის შეხვედრები, ბევრ საინტერესო კითხვას გაეცა პასუხი. _ განუცხადეს „სამტრედიის მაცნეს" სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მთავარმა სპეციალისტებმა ტარიელ ოჩხიკიძემ და ბიჭიკო მეგრელიშვილმა.



## ვალერიანე ფოცხვერია: „შესრულებული სამუშაოების ხარისხით უკმაყოფილო ვარ!"

14 დეკემბრის ტრადიციულ თათბირზე სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის გამოზამთრების თემა იყო აქტუალური. ვალერიანე ფოცხვერია სოფლებში წარმომადგენლების შეფასებებს შეხვედრის პირველ ნაწილში ისმენდა.

ამ კუთხით შენიშვნები ყველამ დააფიქსირა. უმრავლესობის აზრი ეწერში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელმა დასაბუთებულად ჩამოაყალიბა. რევაზ ივანიაძის თქმით, მოსახლეობის გამოზამთრების საკითხი ხელოვნურად ჭიანურდება: „თვეზე მეტია, საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში იმ ადამიანების დასკანირებული სიები გავაგზავნეთ, რომლებსაც ტყეკაფის გამოსაყოფად ბარათები უნდა მიეღოთ „ლიბერთი ბანკში" გარკვეული თანხის გადახდის შემდეგ. სამინისტროდან ჩამოვიდა მომართვა, რომ სიების არა სკანირებული, არამედ ელექტრონული ვერსია გადაგვეგზავნა. ეს უკანასკნელი მეორე დღესვე შევასრულეთ. ამაოდ ველით „ლიბერთი ბანკში"" სიების დაფიქსირებას, ამის შემდეგ მოსახლეობამ რომ შეძლოს ტყეკაფის გამოწერა. ბატონო ვალერიანე, გთხოვთ, შესაბამის სამსახურებს მიაწვდინოთ ხმა, პროცესი დააჩქარონ".

13 დეკემბერს სოფელ ღანირში ტრაგიკული ფაქტი მოხდა: 12 წლის ბიჭუნა ავტოსაგზაო შემთხვევამ იმსხვერპლა. თემში გამგებლის წარმომადგენელი ორშაბათის ტრადიციულ თათბირზე წინადადებით შემოვიდა, სოფლის ტრასაზე სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები მოეწყოს.

ნუგზარ ნუცუბიძემ უახლოეს დღეებში დიდ ჯიხაიშში იუსტიციის სახლის დასრულების გამო მინისტრის მოსალოდნელი სტუმრობა გააჟღერა, ვალერიანე ფოცხვერია კი იუსტიციის სახლის ირგვლივ გაუვალი ეკალ-ბარდების არსებობის შესახებ წინასწარ ჩააყენა საქმის კურსში. ძნელი მისახვედრი არ იყო, ნუგზარ ნუცუბიძე გამგებელს ტექნიკითა და ფიზიკური ძალით დახმარებას სთხოვდა, დიდი ნიკოს თანასოფლელები საპატიო სტუმრებს ესთეტიკურად რომ დახვედროდნენ.

ვალერიანე ფოცხვერიამ თავის მხრივ რჩევა მისცა: სოფლის ახალგაზრდობა გამოიყვანეთ და ტერიტორია მოაწესრიგებინეთო. ამაზე ნუგზარ ნუცუბიძემ ალალად უპასუხა: „დიდი ჯიხაიშელები საკუთარი სახლის წინ საკუთარ არხს არ ჭრიან, წყალში იხრჩობიან და სხვის ტერიტორიას დაასუფთავებენო?"

ვალერიანე ფოცხვერიამ ზოგადად სოფლის ყველა წარმომადგენელს მათ სამოქმედო ტერიტორიებზე შესრულებული სამუშაოების ხარისხი დაუწუნა: „გუშინ ხელახლა გადავამოწმეთ სოფლებში მიმდინარე წელს შესრულებული სამუშაოები. მინდა, გითხრათ, რომ უკმაყოფილო ვარ, უმეტეს შემთხვევაში დაწყებულია საქმე და ბოლომდე არ არის მიყვანილი. ერთადერთი, ვერ ვიტყვი ამას ოთარ წულეისკირზე, ნაბაკევის თემში სამუშაოები ხარისხიანად არის შესრულებული. ვეცადოთ, მომავალ წელს ისე დავგეგმოთ პრიორიტეტები, სოფელიც კმაყოფილი დაგვრჩეს და დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ".

*ნინო ნანიტაშვილი*

# „რას გითხრათ, რით გაგახაროთ?"

ლევან გაბეჩავა

საუკუნე-ნახევრის წინ ერის სულიერი მამის მიერ ნათქვამი ეს მრავლისმეტყველი კითხვა, სამწუხაროდ, ძირითადად დღესაც პასუხგაუცემელია.

ისე, როგორც მაშინდელ საქართველოში, ამჟამადაც უამრავი პრობლემაა: სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური...

უმუშევრად, უნუგეშოდ, უიმედოდ დარჩენილ ხალხს თვალი ისევ თურქეთისაკენ, საბერძნეთისა და იტალიისაკენ... უჭირავს.

ისევ თურქ-სელჯუკივით მიიპარება მიტოვებული ოჯახების კიბეებზე ჭინჭარი.

ისევ უფასურდება ეროვნული ვალუტა, რომელიც, თითქოსდა, არად აგდებს ხალხის გასაჭირს და მალე ''ახალი სამოსით'' გამოგვეცხადება ნიშნის მოგებით, თუ უბრალოდ გასაჯავრებლად.

მაღალი ტრიბუნიდან არაერთგზის გაჟღერებული, საქართველოში გახსნილი 130 საწარმოდან სამტრედიაში ერთიც ვერ აღმოვაჩინეთ?

დღე არ გავა, საინფორმაციო საშუალებებმა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში უმძიმესი სამართალდარღვევათა ფაქტების შესახებ რომ არ გვაუწყონ.

თვალი ევროპისაკენ გვიჭირავს და ხელისგულისოდენა საქართველოში ისეთი სოფლებიც არსებულა, სადაც მოსწავლეებს მეცადინეობა სკოლის მაგიერ ცარიელ ბოსელში უწევთ?!

ყველა მეორე პოლიტიკოსია საქართველოში და ერთი განცხადება, რომელიც პატრიარქს ეკუთვნოდა ლამის ორი კვირა იყო განსჯის საგანი. ვერ, თუ არ მივხვდით, რა ბრძანა უწმინდესმა.

წვეთ-წვეთად გვიზოგებენ ხალხს სხვადასხვა თავსატეხზე საფიქრალს, აქეთ მარჯვენასაჭიანი მანქანების რეგისტრაცია, იქეთ კიდევ საარჩევნო ოლქების ახლებური დაყოფაო, ვინ იცის კიდევ რა და რა.

ოლქების დაყოფაზე გამახსენდა, გასული საუკუნის 60-იანი წლბის მეორე ნახევრის დასაწყისში მსგავსი პრაქტიკა არსებულია საბჭოეთში, ხრუშჩოვი მდგარა მაშინ სსრკ-ს სათავეში.

სამტრედიელი კაცი ხონში, ხონელი სამტრედიაში დადიოდა თურმე ცნობის ასაღებად.

როცა იდიოტი ხრუშჩოვის მზე ჩაესვენა მერე ითქვა, რომ სისულელე იყო ყოველივე.

ახლა რომ ხრუშჩოვი ცოცხალი იყოს, უთუოდ დავწამებდით ვინმეს ხრუშჩოვისტობას, მომკალით და ვერ გავერკვიე, რა სარგებლობას მოუტანს ან პოლიტიკოსებს, ან ელექტორატ-ამომრჩეველს, ან ქვეყანას საარჩევნო ოლქების ამგვარი დაყოფა, როგორზედაც საუბარი მიდის ქვეყანაში.

ისევ და ისევ მაღალი ტრიბუნიდან ხშირად გვესმის ფრაზები: ''დღეს ისტორიული დღეა, საქართველოსთვის''. ''ისტორიული მომენტის მომსწრენი ვართ'' და ა. შ. არადა, რატომღაც, ჯერჯერობით უბრალო ადამიანები ნამდვილად ვერ ვგრძნობთ ისტორიულად ახალი დროის ქროლვას.

რიგები ბანკებთან, აფთიაქებთან, მაღაზიებში... ქვეყნის სოციალური ფონის შესანიშნავი გამოხატულებაა.

გინდა თუ არა, თვალი გაიპარება ქალაქში, ცენტრალურ ადგილზე შეგროვილი ხალხისაკენ და უმალ მიხვდები, რომ დაწყებულა პენსიების დარიგება... დაწყებულა და პენსია, მთელი თვე რომ უნდა იკმაროს მრავალჭირნანახმა, ღვაწლმოსილმა ადამიანმა, მალამოსავით ედება ხალხის სატკივარს.

მანამ, სანამ მთავრობის მიერ დაანონსებული _ 1 ივლისიდან 20 ლარით გაზრდა პენსიებისა, ხოლო ოპოზიციის მიერ არგუმენტირებული მოთხოვნა _ 1 იანვრიდან 50 ლარით გაიზარდოს პენსია, მსჯელობის, პოლიტიკურ ქულათა დაგროვების, თუ უბრალოდ საზოგადოებაში განხილვის საგნად რჩება, დეკემბრის 15 მოვიდა და ბანკთან რიგები თვალშისაცემია.

ნაცნობი-ნაცნობს, ყოფილი თანამშრომელი _ ყოფილ თანამშრომელს, მოყვარე-მოყვარეს ძირითადად ამ ასაკში სწორედ აქ ხვდება, თუმცა, დიდი ხნის უნახავი ნაცნობის ნახვით გამოწვეული სიხარული მალე მინავლდება და ყველანი ერთად სწუხს არეულ რიგზე, უქმად გაცდენილ საათებზე, დაუსრულებელ უწესრგობაზე, სიმბოლურ პენსიებზე, ინფლაცირებულ ლარზე, ყოველდღიურ სატკივარზე და...

მერამდენე ხართ! _ გაისმის დარბაზში...

რიგები აფთიაქებთან...
რიგები ბანკებთან...
იპოთეკით დატვირთული ხალხი...
უფასო სასადილოები...
ეს ჩვენი საქართველოა!
რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

# ''გული საქართველოსთვის'' სამტრედიისთვის

თეა ბაზუნაშვილი

''რადგან იმ სიუჟეტში კარგად ჩანდა სამტრედიის ბაღების მდგომარეობა'', _საუბარი ასე დაიწყო საქველმოქმედო ორგანიზაცია, ფონდი ''გული საქართველოსთვის'' წარმომადგენელმა საქართველოში მაკა აბულაძემ. იგი თავად ქუთაისის მე-13 საბავშვო ბაღის მმართველი გახლავთ. ამიტომ კარგად იცის, რა და როგორ სჭირდება ამ დაწესებულებას. საუბარი კი იმ ცნობილ სიუჟეტზეა, სამტრედიაში დიდი ვნებათაღელვა რომ გამოიწვია და აქაური სკოლამდელი დაწესებულებები მაგიდაზე ჩამოძინებული ბავშვით გააცნო დანარჩენ საქართველოს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის წინ ნიკოლოზობა დღეს ორი დიდი ტრაილერი გაჩერდა. მაკა აბულაძემ წინასწარ გააფრთხილა დამხვდურები, თითოეული 12 მეტრიანია და ნახეთ, რა კარგი ნივთები იქნება შიგო. ისე ყველაფერი აგიხდათ და... სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორი და მისი მოადგილე, აუდიტის სამსახურის წარმომადგენელი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, საკრებულოს რამდენიმე წევრი, ქალაქის ტერიტორიული ორგანოს თანამშრომლები, გამგებლის თანაშემწეები და ბოლოს თვით გამგებელი, ჟურნალისტებთან ერთად აღფრთოვანებული დარჩნენ იმ ავეჯით, სათამაშოებითა და ვინ მოსთვლის, კიდევ რა სახის საჩუქრებით, იქ რომ აღმოჩნდა. ეს ადამიანები დაცლას თავად შეუდგნენ. აქტიურად მონაწილეობდა ამ პროცესში თვით გამგებელიც.

ფონდის ქართული წარმომადგენლობის ხელმძღვანელი მაკა აბულაძე განსაკუთრებული მადლობით იწყებს საუბარს: ''ერთმანეთს ამ ზაფხულში შევხვდით და ვისაუბრეთ სამტრედიის საბავშვო ბაღების საჭიროებებზე. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო სამტრედიის გამგებელს. მან სიტყვა მომცა და იგი პირნათლად შეასრულა. დამპირდა, ტვირთის ტრანსპორტირება დროულად მოხდებოდა, თვეობით არ იდგებოდა პორტში, არ დაერიცხებოდა საურავი და რაც ყველაზე მთავარია, სამტრედიის საბავშვო ბაღებისთვის გამოგზავნილი საჩუქარი აუცილებლად ბაღებამდე მივიდოდა. გამგებელთან ერთად ია ბერძულისა და ნანა იმნაძის წვლილიც უნდა აღვნიშნო. თავდაპირველად ისინი მოვიდნენ ჩემამდე, მომძებნეს და დახმარება მთხოვეს. დოკუმენტები ზედმიწევნით კარგად მომზადდა და ტვირთი უკვე დანიშნულების ადგილზეა.''

ჰოლანდიური საქველმოქმედო ორგანიზაცია ფონდი ''გული საქართველოსთვის'' უკვე 15 წელია მოღვაწეობს. აქედან 10 წელია, სკოლებისა და საბავშვო ბაღებისთვის აგზავნის ჰუმანიტარულ ტვირთს. ბოლო ხუთი წელია, ქუთაისის საბავშვო ბაღებისთვის პერმანენტულად იგზავნება იგი.

ია ბერძული სამტრედიელი მამუკა თოდრიას წვლილზე საუბრობს, რომელიც თავად გახლავთ ამ სიკეთის შემოქმედი. იგი სამტრედიელი, წარმოშობით



ტოლებიდან გახლავთ. თავად არის ამ ფონდის დამაარსებელი და ხელმძღვანელი. წინა ხელისუფლებამ გაანაწყენა რაღაც ურთიერთობების გამო და კონტაქტები გაწყვეტილი ჰქონდა სამტრედიასთან. ნანა იმნაძემ და ია ბერძულმა პირადი ურთიერთობებით დაარწმუნეს, რომ ტვირთი ნამდვილად ბაღებამდე მივიდოდა. აღადგინეს გაწყვეტილი ურთიერთობები და ''90 ათასი ლარის ოდენობის ტვირთი დღეს უკვე სამტრედიაშია.'' _ ამბობს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი ხათუნა ახობაძე.

მუნიციპალიტეტის გამგებელი მამუკა თოდრიას ქველმოქმედებაზე საუბრობს. იმასაც აღნიშნავს, რომ ''ტვირთის მიღებამდე დავიკავეთ თადარიგი, რომ დოკუმენტაცია წესრიგში ყოფილიყო. ტვირთი ჩამოსვლისთანავე უპრობლემოდ მოვიტანეთ სამტრედიამდე. როგორ განაწილდება, რომელ ბაღებში წავა, ამას გადავწყვეტთ. ერთი კია, გორმაღლის საბავშვო ბაღი აუცილებლად მიიღებს მას, რადგან მამუკა თავად ამ სოფლიდანაა. მასაც ჰქონდა მოლოდინი, რომ დოკუმენტაციის მხრივ პრობლემები შეიქმნებოდა, მაგრამ ახლა თურმე კმაყოფილია.''

# ისევ წყალს გატანებულ მილიონებზე

სათვალავი ამერია, ნამდვილად ვერ გეტყვით, მერამდენედ ვწერთ თემაზე, დიდი ხანია, აქილევსის ქუსლად რომ რჩება სამტრედიისა და სამტრედიელებისათვის.

ისევ ჩვენი დროის ''ცხრათავიან დევებზე'' მოგახსენებთ, უიშვიათესი თვისებების მქონე გოგირდოვან წყლებს რომ ჩალის ფასად დაეპატრონენ და ხალხისთვის მიუწვდომელი გახადეს ბუნების ეს ძვირფასი საჩუქარი.

რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, დღე-ღამეში 36 ტონა გოგირდოვანი თერმული წყალი იღვრება ფუჭად, ეს მაშინ, როცა 3-4 ტონა წყლის ხარჯვის უფლებას ამაოდ ითხოვდა წლების მანძილზე ბატონი ოთარ შანიძე, კაცი, რომელიც კურორტის თუ კურორტყოფილი დაწესებულების ხელმძღვანელად და დიდ პატრიოტად ითვლება.



არავის გვინდა გული ვატკინოთ, ბევრისგან განსხვავებით, არც იმით ვლებულობთ შვებას, აუგი ვთქვათ ვინმეზე, მაგრამ ფაქტი ფაქტია _ ვერაფერი ხეირია ასგზის განცხადებული ფრაზა თერმული გოგირდოვანი წყლები ''ნაციონალების'' დროს გასხვისდაო!

არსებობს გამოუსწორებელი შეცდომა?
თუ მოვინდომებთ არა.
მაშ რაშია საქმე?
რა ჰქვია ყოველივეს?
გულგრილობა?
ხალხის აბუჩად აგდება?
მოუცლელობა?
თუ ყველაფერი ერთად?

ნუთუ ყელზე დაადგება რაიონის, რეგიონის, ქვეყნის ბიუჯეტს უიშვიათესი გოგირდოვანი წყლის მიზნობრივად მოხმარების შედეგად მიღებული თანხა?

ჩვენზეა ნათქვამი, თურაშაულის პატრონი ტყეში პანტას ეძებდაო.

*მინაწერი:*

ხუთიოდე წლის წინ ისრაელიდან სტუმრად ჩამოსულმა კულაშელმა ებრაელმა რამდენიმე ლიტრი გოგირდოვანი წყალი ისრაელში წაიღო, ცოლშვილს კოვზით დავალევინებ, უნიკალური თვისებები აქვს ამ წყალსო. ჩვენთან კი ფუჭად იღვრება დღე-ღამეში 36 ტონა?!

რატომ ვატანთ მილიონებს წყალს?

ლევან გაბეჩავა

# 2016 წელს მეტ სიკეთეს ველით

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესი 25 დეკემბერს მთავრდება. იგი, სავარაუდოდ, 25 იანვრისთვის განახლდება. მანამდე სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანებამ სარემონტო სამუშაოებზე ტენდერი გამოაცხადა. მასში სამმა სამშენებლო ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა. გამოვლინდა გამარჯვებული _ შპს ''რები _ 2014''.

როგორც გაერთიანებაში მისულებს გვითხრეს, ძირითადი სარემონტო სამუშაოები არდადეგების პერიოდში შესრულდება. რაც შეეხება ბაგა-ბაღებში მომავალი წლის კვების საკითხს _ 2016 წლის კვების შესყიდვების სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებაზე კვების შესყიდვების სატენდერო კომისია მუშაობს.

სკოლამდელ დაწესებულებებში საახალწლო ღონისძიებებისთვის მზადება აქტიურადაა გაჩაღებული. სამტრედიის მუნიციპალიტეტში არსებული 23-ვე ბაგა-ბაღის აღსაზრდელები მოუთმენლად ელოდებიან თავიანთ სააღმზრდელო დაწესებულებებში თოვლის ბაბუის გამოჩენას. პატარებს მოლოდინი აქვთ, თითოეულ მათგანს ''კეთილი პაპა'' დაუსაჩუქრებელს არც წელს დატოვებს. ამ მიმართულებით გაერთიანებამ უკვე იზრუნა, 8085 ლარის ღირებულების ტკბილეული უკვე შეძენილი აქვთ.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ხათუნა ახობაძე, 2015 წელში არსებული წინააღმდეგობების მიუხედავად, მიმდინარე წელს მაინც წარმატებულს უწოდებს: ''არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ მიუხედავად ბევრი სირთულისა, 2015 წელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებამ წარმატებულად დავამთავრეთ. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ყველგან მოწესრიგდა სამზარეულო ოთახები, პროდუქტის სათავსოები. თითქმის ყველა ბაღში გარემონტდა სველი წერტილი. ორ ბაგა-ბაღში მთლიანად გამოიცვალა სახურავი, დანარჩენებში გარემონტდა დერეფნები, სამეცადინო და საძინებელი ოთახები, გამოიცვალა კარ-ფანჯარა. რაც არანაკლებ მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ქსელში 25%-ით გაიზარდა ხელფასები.

ადგილობრივი თვითმმართველობიდან არის დაპირება, 2016 გაცილებით უკეთესი წელი იქნება სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებისთვის''.

ნინო ნანიტაშვილი

# სპექტაკლში უარყოფითი მხოლოდ ომია

ნინო ნანიტაშვილი

“რატომ ავირჩიე ნოდარ დუმბაძე? ახლავე მოგახსენებთ: სამწუხაროდ, დღევანდელი ახალგაზრდობა ძალიან შორს არის წიგნიდან. ყველა ჩემი სპექტაკლი კი მომავალ თაობას მოუწოდებს, დაუბრუნდეს წიგნს. სავალალოა, რომ ჩვენი შვილები არა მარტო მსოფლიო, ქართულ კლასიკასაც ნაკლებად იცნობენ. ბედნიერი ვარ იმით, თუნდაც ამ სპექტაკლში დაკავებულ 15 ბავშვს ნოდარ დუმბაძის შემოქმედება რომ გავაცანი’’. _ ეს სიტყვები ჟურნალისტებთან პრემიერის ბოლოს წარმოსთქვა ხელოვანმა ქალბატონმა, რომელმაც სამტრედიელ მაყურებელს 17 და 18 დეკემბერს თავისი რეჟისორული ნაშრომი წარუდგინა.

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სპექტაკლის პრემიერა ნოდარ დუმბაძის რომანის “მე ვხედავ მზეს’’ მიხედვით, რომლის რეჟისორი და სცენარის ავტორი ლორიტა ჯორჯიკიაა.

მთელ წარმოდგენას ლაიტმოტივად გასდევდა შემდეგი სიტყვები: “სოფლის გული თბილია’’. რეჟისორის გადაწყვეტით, სპექტაკლის ყველა გმირი დადებითია. თუნდაც დათიკოში მაყურებელი ხედავს ადამიანურ ხაზს, როცა იგი ადიდებულ სუფსაში ხატიას გადასარჩენად დაუფიქრებლად გადაეშვება. სპექტაკლში უარყოფითი მხოლოდ ომია, რომელმაც უდიდესი დაღი დაასვა ადამიანებს, ომმა აქცია დათიკო დეზერტირად, ომმა დააობლა შუახევში ათეულობით ბავშვი, დააქცია ლუკაია ფოცხიშვილის ოჯახი. მიუხედავად იმისა, ადამიანები ამ დროს უამრავ შეცდომას უშვებენ, მათ თანასოფლელებს ჰყოფნით ძალა, ერთმანეთს დიდსულოვნად შეუნდონ ცოდვები.

17 და 18 დეკემბერს კულტურის ცენტრის სცენაზე მე-20 საუკუნის 50-იანი წლები გაცოცხლდა თავისი ჩაცმულობით, ხასიათით, მეტყველებით. მაყურებელმა თეატრალურ დასთან ერთად 2 საათის განმავლობაში იცხოვრა შუახეველთა ცხოვრებით, ტკივილით, შიმშილით, ერთად სიხარულით, სიყვარულით, რწმენით, რომ მამები და შვილები ომიდან დაბრუნდებიან, ბოროტს კეთილი სძლევს, გვირაბის ბოლოს სინათლე გამოჩნდება, მზის სიკაშკაშეს ხატიასთან ერთად, მთელი სოფელი დაინახავს.

სპექტაკლისა და მაყურებლის გული თანაბრად ფეთქავდა. მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენაში დაკავებული 30 ადამიანიდან პროფესიონალი მსახიობი თითზე ჩამოსათვლელი იყო, სპექტაკლი მაღალ მხატვრულ დონეზე წარმოაჩენდა თითოეული გმირის შინაგან სამყაროს. მათ ბუნებრივ, უშუალო შესრულებას მაყურებელი მოეჯადოვებინა.









რეჟისორმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ სკოლის მოსწავლეებს თავიანთი როლებისთვის თავი კარგად გაერთვათ. შედეგიც საუკეთესო დაიდო. მარი აბრამიშვილი და სესილი გოგიშვილი, ნიკა ფხაკიძე და ოთო ბუაძე არაჩვეულებრივები იყვნენ ხატიასა და სოსოიას როლებზე. არ იყო გასაკვირი, მაყურებელს სასიამოვნოდ მიელო გიჟი ბეჟანას როლში ვეფხია ნადირაძე, მეწისქვილე ბეგლარა _ გია სტურუა, კოწია ფოსტალიონი _ როლეზ გოგიშვილი, დათიკო _ ირაკლი კვერხელიძე, ქსენია _ ჟუჟუნა ნიკურაძე, ქეთო _ მაია ამაღლობელი, კკანო _ ირინა მაჭავარიანი. სოფლის ქალები _ მაყვალა ტკვაცირია, ციალა სტურუა, მარინა ვარდანიძე, დალი ნიკურაძე, ნათელა ჯიმშელეიშვილი. კოლმეურნეობის თავმჯდომარის როლი დიდ ჯიხაიშელმა ზაზა ახობაძემ ითამაშა. იგი ერთ-ერთი სპექტაკლის მონაწილე ბიჭუნას, გიორგი ახობაძის მამაა. მაყურებელმა მხურვალე აპლოდისმენტით გააცილა სამხედრო გაკვეთილის სცენა, სადაც მოსწავლეებთან ერთად პროფესიულ დონეზე წარმოჩნდა სამხედროს მასწავლებელი, ასევე დებიუტანტი ჟორიკო პაქსაშვილი. სპექტაკლი მუსიკალურად და ქორეოგრაფიულად გააფორმა გელა თურმანიძემ. პრემიერა შედგა. დარბაზი ფეხზე წამოუდგა, დიდხანს უკრავდა ტაშს თეატრალურ დასს, რეჟისორს. სპექტაკლის ბოლოს იყო უამრავი მილოცვა და თაიგული. გემოვნებიანი მაყურებელი ლორიტა ჯორჯიკიას მასიური სცენების გამოყენებას და ახალბედა მონაწილეების სპექტაკლში დაკავებას უწონებდა.

# “მოგზაურობა წარსულში’’

ნებისმიერი ქალაქის თუ სოფლის ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის შესწავლა ემსახურება ქვეყნის ყოველმხრივი კვლევის ინტერესებს. სამტრედია ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამ ქალაქის შედარებით სიახლის მიუხედავად მისი შესწავლით შუქი ეფინება საქართველოს ისტორიის საკითხებს.

მიმდინარე წელს ჩვენს ქალაქს 145 წელი შეუსრულდა. ეს იყო საფუძველი, როდესაც სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ესტუმრნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებული მხარეთმცოდნეობის წრის წევრები, რომლებიც № 11 საჯარო სკოლის ბაზაზე მუშაობენ (პედაგოგი მარინა ქართველიშვილი).

მოსწავლეებმა, ჩაატარეს თემატური გაკვეთილი “მოგზაურობა წარსულში’’. მათ წარმოადგინეს სამტრედიის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები საეკლესიო ნაგებობები, ტოპონიმები, თვით ქალაქის დაარსებისა და ზრდის ისტორია, მისი მოსახლეობის კულტურა, განათლება, ხალხური დღესასწაულები და მთლიანად რაიონის ცხოვრება.

მოსწავლეების მიერ შექმნილი კედლის გაზეთებსა და წიგნებში მოკლედ ასახეს მათში კოლხური ცივილიზაცია, სამტრედიის უძველესი არქიტექტურული ძეგლები; თუ როგორ გაჩნდა დღევანდელი სამტრედია საქართველოს რუკაზე, კულტურული ცხოვრების პანორამა. დასასრულს მოსწავლეებმა წარმოადგინეს მათ მიერ დამზადებული ბარათები, რომლებშიც მოთავსებული იყო “სურვილები ჩემს ქალაქს’’. “ყველა ადამიანს სურს ის ქალაქი, სადაც დაიბადა, გაიზარდა და ცხოვრობს იყოს ყველაზე კარგი, მე, პირველ რიგში, სამტრედიას ვუსურვებდი ისეთ მოქალაქეებს, რომლებიც იზრუნებენ მასზე; არ დააბინძურებენ ქალაქს, გაუფრთხილდებიან მის იერსახეს...’’ _ წერს მარი გოგია.

“მე მსურს ჩემი სამტრედია უფრო ლამაზი და კოხტა გამხდარიყოს, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, გაკეთებულიყოს ბავშვთა გასართობი ცენტრი, კინოთეატრი, თოჯინების თეატრი, სამტრედია _ შენ ჩემი განთიადი ხარ... თბილი, მზესავით ნათელი. ყველა ლამაზი ოცნება, ყველა ლამაზი სათქმელი, შენ სიყვარულის ფერი ხარ, გაზაფხულივით დამთბარი... ყველა ნანატრი წუთი ხარ, სიტყვა ჩურჩულით ნათქვამი, ბედნიერების წამი ხარ, ჩემი უსაზღვრო სამყარო’’. _ ამბობს ლუკა კანდელაკი.

ნაჩვენები იქნა ფილმი, რომელიც კომპანიამ “კადრი XXI’’ გადაიღო _ “სამტრედია’’.

დასასრულს, მოსწავლეებსა და მასწავლებელს, მარინა ქართველიშვილს სამადლობელი სიტყვები და საუკეთესო სურვილები უსურვეს № 11 საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ნანა მანჯგალაძემ, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ტატა გოგუაძემ, მხარეთმცოდნეობის განყოფილების გამგემ, გულნარა ცინცაძემ, ქალბატონმა ელიკო ანკვაბმა და სხვებმა.

გულიკო ცინცაძე

# შემოდგომა სოფლად

ჭოგნარის საჯარო სკოლაში შემოდგომას ლამაზი ღონისძიება მიეძღვნა. იგი სასოფლო კლუბის ხელმძღვანელისა და სკოლის ორგანიზებით მოეწყო.

საჯარო სკოლის ყველა მოსწავლე აქტიურად ჩაერთო მასში. ოთახი შემოდგომის ბარაქითა და დოვლათით დაიტვირთა, სკოლაში ნამდვილი ქართული შემოდგომის სურნელი იდგა. ბავშვებმა წაიკითხეს ქართველ პოეტთა ლექსები შემოდგომაზე, იმღერეს ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები. სიმღერა სოფელზე შეასრულეს სკოლის მუსიკის პედაგოგმა, ქეთევან მეფარიშვილმა და კლუბის გამგე მადონა მსხილაძემ.

სკოლის დირექტორმა, იზოლდა ვაჩეიშვილმა, ღონისძიების ორგანიზატორებს და მონაწილეებს მადლობა გადაუხადა ლამაზი საღამოს მოწყობის გამო და მათ წარმატებები უსურვა.

მადონა მსხილაძე
ჭოგნარის სასოფლო კლუბის გამგე

# "არა, ისინი არა კვდებიან"

ნათია ნაცვლიშვილი

***მარლენ ბარამია ერთ-ერთი იყო 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე იმ 17 შინდისელ გმირ ჯარისკაცს შორის, საკუთარი სისხლი რომ ჩაანთხიეს ეროვნულ საძირკველში და 21-ე საუკუნის გმირებად იქცნენ. ქვეყანამ გაიგო ამ 17 ჭაბუკის უმაგალითო თავგანწირვის ისტორია, სოფელ შინდისში, მსუბუქად შეიარაღებულნი რუსული ბატალიონის პირისპირ რომ აღმოჩდნენ, 11 აგვისტოს ომი უკვე დასრულებული იყო და სამხედრო კოლონა დისლოკაციის ადგილისაკენ მიემართებოდა. სწორედ აქ, რკინიგზის გადასასვლელთან წამოეწივნენ რუსული სამხედრო შენაერთები და ქვიტკირის შენობაში მომწყვდეულ იარაღდაშვებულ ქართველ მებრძოლებს მოულოდნელად ყველა ტიპის იარაღიდან ჯოჯოხეთური ცეცხლი გაუხსნეს.***

22 მებრძოლიდან 5 სასწაულებრივად გადარჩა. ბიჭებმა 1 საათი გაუძლეს უშეღავათო და უთანასწორო ბრძოლას. ისინი ავტომატებით იდგნენ რუსული ჯავშანტრანსპორტიერების პირისპირ. როგორც ომის ამბების მცოდნენი ჰყვებიან, რუსმა სამხედრო მაღალჩინოსანმა თურმე ორჯერ ითხოვა დახმარება, ეგონათ არა ოცეული, არამედ, ასეული ებრძოდა მათ.

შინდისის ეპიზოდიც ხომ საქართველოს მიერ გადახდილ სხვა ომებს წააგავს. ჩვენ ხომ ყოველთვის ათჯერ და ასჯერ მეტ მტერთან გვიხდებოდა გმირული შებმა! ჩვენს დამიწებულ ბიჭებს, როგორც პოეტმა თემურ ჯულაყიძემ უწოდა, "ქრისტეს რჩეულ მხედრებს" თაობებმა პატივი უნდა მიაგონ. მე-6 საჯარო სკოლის დარბაზში დიდი ტკივილის, ცრემლიანი სიამაყის და გმირთა ხსოვნის საღამოა. ამიერიდან ამ სკოლას მარლენ ბარამიას სახელი მიენიჭება, იმ მარლენ ბარამიასი, 25 წლისას რომ შეეყინა პირზე ღიმილი. მას რამდენიმე წელიწადი მოუხდა ამ სკოლის კედლებში სწავლა, საშუალო სკოლაც აქ დაამთავრა, ახლა მისი მე-5 კლასელი შვილი, თეკლა, თვალებგაფართოებული შესცქერის სამხედრო ფორმაში გამოწყობილ მე-6 საჯარო სკოლის მოსწავლეებს, რომელთაც ულამაზესი ხსოვნის საღამო უძღვნეს მის მამიკოს. იციან ამ ახალგაზრდებმა, რომ ჯარისკაცის ფარაჯა არის ყველაზე საპატიო სამოსი და დიდი სიყვარულის და პატივისცემის ღირსია ადამიანი, ვინც პირველი მიდის სამშობლოს დაძახილზე და სისხლის ფასად იცავს მას.

უამრავი ლამაზი ლექსი, ემოციური და თბილი ჰანგი მიეძღვნა გმირების ხსოვნას. "არა ისინი არ კვდებიან, არ კვდებიან, მათ მხოლოდ კლავენ, და ქვეყნად რაც კი იმედებია, აუზიდია მათ ბავშვურ მკლავებს..." შინდისის გმირებს შორის დაუოჯახებლებიც ერივნენ, სამშობლოს ნახანძრალ მკერდზე ყაყაჩოებად რომ აენთნენ და მხოლოდ დედის ხსოვნაში დარჩნენ მარადიულ ტკივილად. ქართლის დედის სახემ ისევ გაიელვა, ისევ გაისმა სტროფები: "შენს გადარჩენილ სამშობლოში დავდივარ ლოცვით, რომ მასში ვპოვო შენი სუნთქვა და გულის ფეთქვა"...

იმ დღემაც ცხადყო, რომ 21-ე საუკუნის გმირებს არ უწერია დავიწყება, რომ საქართველოს თუ რამე აძლიერებს, ისევ და ისევ წარსულის პატივისცემა და გმირთა ხსოვნის წინაშე ვალდებულების გააზრება.

მე-6 სკოლას ამიერიდან მარლენ ბარამიას სტენდიც ამშვენებს, სადაც გმირის ხსოვნის უკვდავმყოფელი ფოტომასალაა გამოფენილი. ღონისძიებაზე პოეტმა თამარ რაზმაძემ განაცხადა, რომ სამტრედიელები ყოველწლიურად სტუმრობენ შინდისს, სადაც დღესაც დგას რუსული ტყვიებით დაცხრილული შენობა, ახალგაზრდა ვაჟკაცების ბოლო ამოსუნთქვას რომ ინახავს. ამ ადგილს ამშვენებს მოქანდაკე ნუგზარ ჭავჭავაძის კომპოზიცია "შინდისის გმირები", რომლის მშენებლობაც დააფინანსა მეცენატმა კახა კალაძემ, მისივე დაფინანსებით, შინდისის გმირების უკვდავსაყოფად წმ. გიორგის სახელობის ტაძარი აიგო. მარლენ ბარამიას პატივსაცემად დაგეგმილია კეთილმოეწყოს მისი სახელობის ქუჩა და სკვერი. საკრებულოს ინიციატივით, უკვე დაირგო მარადმწვანე ხეები გმირის ხსოვნის უკვდავსაყოფად. პოეტმა თემურ ჯულაყიძემ გმირების ხსოვნას უძღვნა წიგნები "შინდისის გმირები" და "ქრისტეს რჩეული მხედრები". გმირთა ხსოვნა კიდევ მრავალი შემოქმედისათვის იქნება შთაგონების წყარო. რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა მსახიობმა და რეჟისორმა ედმონდ მინაშვილმა უკვე გააუკვდავა მათი ხსოვნა დოკუმენტური ფილმით. მისი მეორე ჩანაფიქრის შესახებ _ გადაიღოს მხატვრული ფილმი შინდისელ ღიმილის ბიჭებზე, _ რეზო ჩხეიძეს რომ შეუტყვია, განუცხადებია, ეს ნამდვილი, რეალური ღიმილის ბიჭების ისტორია იქნებაო.

მარლენ ბარამია დაჯილდოვებულია ვახტანგ გორგასლის სახელობის I და III ხარისხის ორდენებით და საქართველოსთვის თავდადებულის მედლით. ღონისძიება განსაკუთრებულად გაალამაზა ფოლკ ჯგუფ "ლადის" პატრიოტულმა სიმღერებმა.

მუსიკოსმა მარინა ახობაძემ საკუთარი მუსიკალური კომპოზიცია წარმოუდგინა პუბლიკას სახელწოდებით "პატრიარქის ფიქრები". ულამაზესი სალომე სანაძის, მარლენ ბარამიას ქვრივის პატივსაცემად მუსიკოსმა და მოსწავლემ, ნინო ჩაჩუამ ვაჟა აზარაშვილის "სენტიმენტალური ტანგო" შეასრულეს.

განსაკუთრებულად გაალამაზა საღამო ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ "იმედის" (სამხატვრო ხელმძღვანელი ზვიად ვაშაკიძე) მიერ შესრულებულმა ცეკვამ "ხორუმი".

წამყვანებმა გიორგი ჩაჩუამ და ქეთევან აბრამიშვილმა სიტყვა მისცეს მარლენ ბარამიას დედას, მედეა გულუას, რომელმაც მადლობა გადაუხადა შეკრებილთ მისი შვილის ხსოვნის უკვდავყოფის გამო. ასევე მადლიერება გამოთქვა გმირის მეუღლე სალომე სანაძემ. საღამოს ასევე დაესწრო მარლენის და, მადლენა ბარამია.

"ქედს ვიხრი გმირთა ხსოვნის წინაშე. მადლობა ამ არაჩვეულებრივი ღონისძიებისათვის. 1993 წლიდან მახსოვს მარლენი, პატარა ბიჭუნა, რომელიც ოჩამჩირიდან მტრის ტყვიას გამოექცა, რამდენიმე თვე ისწავლა ჩვენს სკოლაში, ქალაქიდან გადასვლა მოუხდა ოჯახს, მერე ისევ დაუბრუნდა სკოლას, ის ჩემი შვილის მეგობარი იყო, გმადლობთ ქალბატონო მედეა, თქვენ გმირი დედა ხართ. თქვენი შვილი ცოცხალია, თქვენნაირმა დედებმა აღზარდეს გირები, რომელთაც დიდი ისტორია შექმნეს" _ მიმართა პედაგოგმა მარინა ნადირაძემ ქალბატონ მედეა გულუას.

"მადლობა ყველას გვერდით დგომისათვის, რომ ყველამ ერთად შევძელით გამარჯვება სიკვდილზე". _ უკლებლივ ყველა დამსწრეს მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორმა, მარლენ ბარამიას დეიდამ და მე-6 საჯარო სკოლის რუსული ენის პედაგოგმა, რუსუდან გულუამ.

სკოლას მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ და აღნიშნა: "ამ ბიჭებმა ქვეყნის წინაშე ვალი მოიხადეს, მათი კვალი ქართველი ერის ხსოვნაში წარუშლელი იქნება".






გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი: "ეს ბიჭები გარდაიცვალნენ, მაგრამ არ დაბერდებიან, ღიმილის ბიჭებად დარჩებიან, სკოლას უდიდესი მისია აკისრია _ აღზარდოს პატრიოტი ახალგაზრდები, ჩაუნერგონ მათ ქვეყნის სიყვარული და გმირების პატივმიგებაც უნდა ვიცოდეთ. დღევანდელი დღე ამის ნათელი მაგალითია. სკოლამ დიდი როლი შეასრულა როგორც ამ გმირის აღზრდაში, ისე მისი ხსოვნის უკვდავყოფაში. სახელის მინიჭებას რთული პროცედურა აქვს, 20 წელი უნდა გავიდეს ადამიანის გარდაცვალებიდან, მაგრამ ეს ბარიერი იმიტომ გადაილახა, რომ განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. არ უნდა დავივიწყოთ ეს ახალგაზრდები. არაჩვეულებრივი ოჯახი ჰყავს მარლენს: მეამაყება, რომ ჩვენი რაიონის მკვიდრი იყო ეს ახალგაზრდა, რომელმაც ასახელა სამშობლო".

"გვერგო პატივი, გავმხდარიყავით თქვენი მწუხარების თანამონაწილენი. იმხანად ამ სკოლის დირექტორი ვიყავი. ეს მწუხარება იყო უსაზღვრო და მისი გაზიარება ძნელია. გადავწყვიტეთ მოგვეწყო ღონისძიება. სკოლის სახელის მინიჭებისთვის გავიარეთ გარკვეული პროცედურები, როგორც იქნა, მივაღწიეთ საწადელს.. ეს მარლენის ოჯახის, მშობლებისა და მეუღლისთვის ძალიან მცირეა, მაგრამ რაც შეგვეძლო და შეგვიძლია, ყველაფერს გავაკეთებთ. გმირულად დაღუპული ვაჟკაცი კიდევ ერთხელ გავიხსენეთ". _ მიმართა შეკრებილთ მე-6 სკოლის დირექტორმა, ლეილა კუბლაშვილმა და პატარა თეკლა ბარამიას სკოლის სახელით წიგნი უსახსოვრა.

მარლენ ბარამიას სტენდს იმ დღეს საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელთა მიერ მოტანილი ყვავილებიც ამშვენებდა. რესურსცენტრის წარმომადგენელმა, პედაგოგმა ალექსანდრე თევზაძემ განაცხადა:

"მარლენ ბარამია ისეთივე გმირია, როგორც ჩვენი სახელოვანი წინაპრები, ასეთი გმირები შემთხვევით ოჯახებში არ იბადებიან. ისინი იზრდებიან იმ ოჯახში, სადაც საუკეთესო დედები არიან, თუმცა, არც ერთ დედას არ ვაკნინებ. მრავალრიცხოვანი ერი ვიყავით, ჩვენზე ალმატებულ მტერთან გვიხდებოდა ბრძოლა. შინდისის მაგალითიც ცხადყოფს ამას, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა შესძლეს შეუძლებელი. ქართველების ამ უმაგალითო გმირობას მტერი არაერთხელ აღუფრთოვანებია".

მე-6 საჯარო სკოლა ამაყობს იმით, რომ მის კედლებში სხვა ღირსეულ ქართველებთან ერთად გმირიც აღიზარდა.





# “სამაგიეროდ, ჩემში რაც არი, ერთი არაა სხვისი მისხალი”

ნათია ნაცვლიშვილი

***“ყოველ წელს, საზაფხულო არდადეგების დამდეგს არგვეთიდან ჩემს წასაყვანად ჩამოდიოდა ზაფხული და სევდანარევი ნეტარებით ვტოვებდი თბილისს”. _ წერდა ერთგან პოეტი. ახლა კი პოეტ მუხრან მაჭავარიანის დიდ სიყვარულს, მისდამი თაყვანისცემის და პატივისცემის გრძნობას ამავე სოფელში, მის სახლ-მუზეუმში მივყავართ ჭეშმარიტი ქართული ლექსის თაყვანისმცემლები. უდიდესი მადლი არგუნა განგებამ იმერეთის ამ ულამაზეს რაიონს, საჩხერეს: უტკბილესი ჰანგების გამომცემი ჩონგურის სიმების ამწყობი, დიდი აკაკი, რაინდული სულის პაოლო იაშვილი და მარად უკვდავი ქართული ჯიშის კიდევ ერთი შესანიშნავი წარმომადგენელი, მუხრან მაჭავარიანი.***

მელაურის საჯარო სკოლელებთან ერთად ჩვენი სტუმრობა სოფელ არგვეთში მოულოდნელ დღესასწაულად იქცა. ჩვენი მასპინძელი გიორგი იაშვილია, მუხრან მაჭავარიანის სიახლოვეს აღზრდილი, მისი ნიჭისა და ღირსების დამფასებელი. როგორც ბატონმა გიორგიმ გვითხრა, მისი დიდი ბაბუა, გიორგი იაშვილი და პაოლოს მამა ჯიბრაილი ძმები იყვნენ. ამიტომ, არც გაგვკვირვებია, რომ ამ ადამიანმა ქართული ლექსის საოცარი სიყვარული გამოავლინა და მუხრანის შედევრები წაგვიკითხა.

მოსწავლეები ინტერესით უსმენდნენ მას და ათვალიერებდნენ მწერლის უნიკალურ ნივთებს, მაგიდას, სადაც დიდი პოეტის პოეტური მარგალიტები იქმნებოდა. დაათვალიერეს ულამაზესი ეზო, მრავალწლოვანი ხეებით დამშვენებული. თითქოს ბევრი ვიცით პოეტზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მაინც არა გვაქვს საკმარისი ცოდნა ამ ბუმბერაზი ადამიანის ცხოვრების შესახებ, რომლის ლექსებმა გასული საუკუნის 60-იან წლებში სათავე დაუდეს ქართულ ეროვნულ მოძრაობას. მოსწავლეები ცდილობდნენ არც ერთი სიტყვა არ დაეკარგათ გიდის ნაამბობიდან. განსაკუთრებულად საინტერესო კი მწერლის მეუღლის, ლამარა ბოკერიას მიერ პოეტისადმი მიძღვნილი წიგნია, “ძე ქუხილისა”, რომლის შეძენაც მუზეუმშია შესაძლებელი. ესაა ემოციით აღსავსე, მეუღლის უდიდესი სიყვარულით დამუხტული წიგნი, რომელიც მუხრან მაჭავარიანის ტკივილიან ცხოვრებაზე გვიამბობს. მოგვითხრობს იმაზე, როგორ იყო ის ხშირად ხელისუფლების მიერ შერისხული და გარიყული “მეგობართაგან”, სამსახურიდან მოხსნილი და გადასახლებული.

განსაკუთრებულად კეთილშობილური კი ის ჟესტია, რომ მუხრან მაჭავარიანის ოჯახის გადაწყვეტილებით, ნებისმიერ სტუმარს, მწერლის სახლის მონახულება საზღაურის გარეშე შეუძლია. ამ გაუფერულებულ სივრცესა და დროში, როცა პოეზიისათვის, სულიერებისათვის არავის “სცხელა”, რადგან ყველა და ყველაფერი ფულზე, მატერიაზეა ორიენტირებული, მართლაც სანთლით საძებნელნი არიან ადამიანები, რომლებსაც პოეზია უყვართ და ეთაყვანებიან.

ნაწყვეტი გიორგი იაშვილის ნაამბობიდან: “პოეტის დედა, თამარ იაკობაშვილი, პროფესიით ფილოლოგი 80 წლისა გარდაიცვალა, მამა _ ივანე მაჭავარიანი, პროფესიით ეკონომისტი _ 54 წლის ასაკში. პოეტი საზოგადოების წინაშე რომ წარსდგა პირველად, მე-8 კლასელი იყო. მან ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილ საღამოზე წაიკითხა ლექსი. მოგვიანებით დაწერა: “არ ვიცი, ლექსი მოეწონათ თუ შეამჩნიეს, ნათხოვარი კოსტუმი რომ მეცვა და ჰონორარი იმიტომ მომცესო.

1988 წელს ის გახდა მწერალთა კავშირის არა დანიშნული, არამედ არჩეული თავმჯდომარე. 1991 წელს ჩვენმა ქვეყანამ მიიღო დამოუკიდებლობის აქტი. პოეტი ამბობდა, რომ თავის ცხოვრებაში ყველაზე დიდი მიღწევა დამოუკიდებლობის მიღება იყო. ამ აქტს მისი ხელმოწერაც ამკობს. ბევრმა ალბათ არ იცის, რომ მუხრან მაჭავარიანი მეგობრობდა კონსტანტინე გამსახურდიასთან, შემდეგ დაუმეგობრდა ზვიად გამსახურდიას და ზვიად გამსახურდიას სურვილი იყო, ყოფილიყო მუხრან მაჭავარიანის ნათლია.

პოეტმა უამრავი ლექსი უძღვნა მეუღლეს, ლამარა ბოკერიას. ქალბატონი ლამარა 87 წლის არის. მათ ჰყავთ შვილები: ნანა და ვანო მაჭავარიანები, ორივე ამჟამად პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეწევა. ჰყავთ 4 შვილიშვილი: ვანოს ვაჟები _ რატი და მუხრანი, ნანას ქალიშვილები: ანა და სოფო ახმეტელები. სოფო ახმეტელი არის ცნობილი მოთხილამურე.

2010 წლის 17 მაისს პოეტი გარდაიცვალა. მუხრანს ერთი დღეც არ უცხოვრია მეგობრების გარეშე და იმ დროს გარდაიცვალა, როცა თავის მეგობარ პოეტს, ფრიდონ ხალვაშს სიტყვას ეუბნებოდა, როცა რჩეული საზოგადოება სულგანაბული უსმენდა, აღმერთებდა ილიას, გალაკტიონს, ჰყვებოდა მათ ლექსებს და ამ დროს გარდაიცვალა. მისი ბოლო სიტყვა იყო საქართველო!”

“ქუხდა სტრიქონი, ხმა ქარიშხალს იწვევდა ხმალში” _ წერდა მუხრანი. 1964 წელს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხალხით სავსე სააქტო დარბაზში ხალხი აღაფრთოვანა მუხრანის მიერ წაკითხულმა ლექსმა; “დღე მოიწევს კრიალა”, რომელიც ასე მთავრდება:

“ნაკუწ-ნაკუწ-ნაკუწ-ნაკუწ კი არა!
გაუმარჯოს, გაუმარჯოს მთლიანად!
მიწიანა, კაციანა, ციანა, _
საქართველოს მოთმინების ფიალას!”

მას კიდევ ერთი ლექსი მოჰყვა:

“თუ ფიქრობს ვინმე,
გავკმინდოთ ენა!
შენც არ მომიკვდე!
არა და ვერა!
შოთა რომ არა,
ვაჟა რომ არა!
ტატო რომ არა!
კიდევ ხო, მარა...
ესენი როა?!
ესენი როა,
ახლა კი დროა
ახლა კი დროა,
სოლომონ, რომა
კვლავ დაიქუხოს საქართველომა”.

დარბაზი ფეხზე წამოდგა, იმ საღამოს წაკითხული პოეტის ლექსები მთელ საქართველოს მოედო, ხელით იწერდნენ და ერთმანეთს გადასცემდნენ. მოგვიანებით კი ლიტერატურათმცოდნეებმა და კრიტიკოსებმა დაწერეს, “60-იან წლებში უნივერსიტეტში წაკითხული მუხრანის ლექსებით დაიწყო ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა”.

ამ ლექსების გამო, წერს მუხრან მაჭავრიანის მეუღლე: “1964 წელს იდეოლოგიის დარგში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ინიციატივით მოეწყო რესპუბლიკის აქტივის კრება. საქართველო აყვავებული, ბედნიერია, რა ჭირს მოსათმენიო, გაგულისებული, აღშფოთებული გვტუქსავდა ცეკას მდივანი, განა ყველა მეეზოვეს აქვს უფლება სამშობლოს ჭირვარამზე ილაპარაკოსო?!”

ცეკას მდივანმა ქალბატონმა კი ლექსისთვის “ვაი ჩვენს პატრონს”, პირადი შეურაცხყოფა მიაყენა და გაალმასებულმა წამოიყვირა: “ვაი, მართლა მუხრან მაჭავარიანის პატრონსო. შენ მიწისფერი დაგედო. წამოდექი... ოთარ ჭელიძე წამოვარდა და მთელი დარბაზის გასაგონად დაიყვირა, უნდა გრცხვენოდეთ ქალბატონო, პოეტს ასეთ შეურაცხყოფას როგორ აყენებთო.

როცა 1974 წელს, სრულიად უსაფუძვლოდ და კანონის დარღვევით, რუსთაველის სახელმწიფო პრემია არ მოგცეს, შენი მეგობარი ტარიელ ჭანტურია პრესაში გამოქვეყნებულ წერილში გამხნევებდა:

“პოეტებს ჯილდოებზე უფრო ჭრილობებით აფასებს ხალხი და ეს ბუნებრივია, რადგან პოეტებიც ომში არიან და იქ დაღვრილ სისხლს ჯილდოებზე უკეთ მიღებული ჭრილობები გამოხატავენ”.

ეროვნული ხელისუფლების დამხობისთანავე, პოეტმა პროტესტის ნიშნად დატოვა მწერალთა კავშირი. 1991-93-94 წლებში უმძიმეს მდგომარეობაში, შინაპატიმრობაში იყო მისი ოჯახი.

“ყველაზე უფრო შემაძრწუნებელი, დამამცირებელი და დამთრგუნველი იყო, რომ შენ, პოეტს, ტყვია გესროლეს... მოპირდაპირე სახლის სახურავზე ჩასაფრებულებმა, ტყვიამფრქვევიდან დაგვიშინეს ტყვიები. ნატყვიარები დღესაც ატყვია ჩვენს სახლს...” _ იხსნებს მეუღლე წიგნში.

მასპინძელმა მუხრან მაჭავარიანის სახლ-მუზეუმის შემდეგ პაოლო იაშვილის ახლომდებარე სახლ-მუზეუმიც გვაჩვენა. სახლ-მუზეუმში სარემონტო სამუშაოები იწყება და მალე ამ ბუმბერაზი პოეტის სახლ-მუზეუმსაც ეწვევიან სტუმრები.







# კაშიები კვლავ შეიკრიბნენ

ნათია ნაცვლიშვილი

იმერეთის ულამაზესი სოფლის, ბაშის მკვიდრი კაშიები ყოველი წლის 23 ნოემბერს, გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულზე საგვარეულო შეკრებას აწყობენ. ეს ტრადიცია მათ, ორი წელია რაც დაამკვიდრეს. კაშია ბაშში მცხოვრები ყველაზე დიდი გვარია, ამ გვარის წარმომადგენლები დღესდღეობით საქართველოს ბევრ კუთხეში ცხოვრობენ. ბაშელმა კაშიებმა ისინი მოიძიეს და საერთო შეკრების მონაწილენიც გახადეს.

უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, უკვე დალოცა კაშიათა გვარი. ამ გვარის წარმომადგენლებმა საგვარეულო ხატიც დააწერინეს, რომელმაც ბინა ბაშის ღვთისმშობლისა და წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში დაიდო. კაშიების ეს ინიციატივა ბაშის მკვიდრი მეორე დიდი გვარის _ გერაძეებისთვისაც გადამდები აღმოჩნდა და შეკრებებს უკვე ისინიც აწყობენ.

კაშიათა გვარის შეკრების ინიციატორი, ადგილობრივი წარმოშობის ბიზნესმენი, ლავროსი კაშიაა. ეს ბატონი ასევე არის კაშიების საგვარეულოს ვიცე-პრეზიდენტი. საგვარეულოს პრეზიდენტი, ავთანდილ კაშია “სამტრედიის მაცნეს” ესაუბრა: “წლევანდელ თავყრილობას 60 კაშია ესწრებოდა. ვიყავით საქართველოს ყველა



კუთხიდან. პირველად შემოგვიერთდნენ ტყიბულელი კაშიები. ჯერ ტაძარში მოვილოცეთ, სადაც ჩვენი საგვარეულო ხატია დაბრძანებული, მერე კი რესტორან “ყაზბეგში” შევიკრიბეთ. საამაყოა ის, რომ საქართველოში მცხოვრები კაშიას გვარის ყველა წარმომადგენლის ფესვები ბაშიდან არის. დღეის მონაცემებით სოფელ ბაშში, ამ გვარის მქონე 59 კომლია, საერთო რაოდენობა 145 ადამიანს შეადგენს. საქართველოში სულ 825 კაშია ცხოვრობს. თბილისში, ქუთაისსა და სამტრედიაში 210 კომლია. აჭარასა და სენაკში ამ გვარის 3 ოჯახი ცხოვრობს.

უძველესი ისტორიის მქონე სოფელია ბაში, წინათ ეს ადგილი გემების ნავსადგურს წარმოადგენდა, შავი ზღვიდან შემოდიოდნენ აქ გემები. ასე ყვებ-



იან ჩვენი წინაპრები, ამ ადგილას საქონელს ბაჟს ადებდნენ და აქედან მოდის სოფლის სახელწოდებაც. ჩვენს შეკრებას ესწრებოდნენ უხნესი ბატონები _ ჰუსეინ და შოთა კაშიები”.

გამგებლის წარმომადგენელი სოფელ ბაშში, რამაზ კაშია: “ამ საქმის ინიციატორი ბატონი ლავროსია. ჯერ მცხეთაში შევიკრიბეთ, მერე დაგვლოცა უწმინდესმა, დაიწერა ჩვენი საგვარეულო ხატი, ყველა კაშიას შეუძლია საკუთარ ოჯახში ხატის მიბრძანება. მალე ხატს ტყიბულში გადააბრძანებენ და მერე ისევ ეკლესიას დაუბრუნდება. ჩვენმა თანასოფლელებმა, გერაძეებმა, ჩვენი ინიციატივა აიტაცეს და თავადაც აწყობენ შეკრებებს”.

# იდღეგრძელეთ!



იგი თანამედროვეობის ყველაზე დიდი ქართველია.

ყველა დამსახურებულად სცემს პატივს, თუმცა, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ბევრმა ბევრჯერ არ ისმინა მისი და...

უწმინდესსა და უნეტარესზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსსა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია მეორეზე მოგახსენებთ.

ისე როგორც თავის დროზე ილია ჭავჭავაძე, ილია მეორეც, მეორე ილია, როგორც მას ხშირად უწოდებენ, სულიერ მხსნელად მოევლინა სნებაშეყრილ საქართველოს.

ქართველი ერის მწყემსმთავარმა საკუთარ თავზე აიღო ჩვენი ცოდვები.

მის სადიდებლად იმ 20 ათასამდე ქართველის გვარ-სახელის ხსენებაც იკმარებს, მისივე გონივრული ნაბიჯის, ინიციატივის წყალობით რომ მოევლინენ ქვეყნიერებას, საქართველოში დაბადებულ იმ პატარებზე ვსაუბრობ, პატრიარქის ნათლულები რომ არიან...

25 დეკემბერს 38 წელი სრულდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის აღსაყდრებიდან.

4 იანვარს 83 წლისა ხდება პატრიარქი საქართველოსი.

**ლევან გაბეჩავა**



# უფლის მადლით გასხივოსნებული

ჭეშმარიტად ასეთია ახლახან გამოსული წიგნი ''დიდი ჯიხაიშის ეკლესიების ისტორიიდან'', რომლის ავტორია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ედიშერ გვენეტაძე.

ცნობილი მიზეზების გამო ჩვენი ფართო მკითხველი საზოგადოება და სპეციალისტთა ვიწრო წრეც დიდიხანია მოკლებული იყო ამგვარი წიგნის სამზეოზე გამოსვლას, რის გამოც მისთვის შორეული იყო საეკლესიო ცხოვრება. ამიტომაც ფრიად მისასალმებელია ეს აქტი. ამასთან მისაბაძია კიდეც, რადგან ამ მიმართებით ჩვენთან და მთელ ქვეყანაში კიდევ ბევრია შესასწავლი და ცალკე წიგნად დასამზადებელი.

ავტორის მდიდარ საარქივო მასალაზე დაყრდნობით ღრმად და საფუძვლიანად აქვს შესწავლილი და გაანალიზებული საბჭოთა ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს 1921 წლის ოკუპაციამდე ქუთაისის მაზრის სოფელ დიდ ჯიხაიშში, რიცხული 9-ვე ეკლესიის საქმიანობა, მკითხველი ეცნობა საეკლესიო მოღვაწეთა მეტად საინტერესო სახეებს, განიცდის დიდ სულიერ კმაყოფილებას.

წიგნის საერთო ღირსებას ზრდის თანდართული მაღალხარისხოვანი ფოტოები.

წიგნი დამზადებულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე.

**ვალერიანე თევზაძე**

# ''შეუფასებელია აქ მოქმედი მღვდელმსახურების საქმე''

13 დეკემბერს მეუფე საბა სამტრედიას სტუმრობდა. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველმა სადღესასწაულო წირვა-ლოცვა ჩაატარა. ქრისტიანული მართლმადიდებლური ეკლესია ამ დღეს წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდანად შერაცხული მეფის, ვახტანგ გორგასლის ხსენების დღეს აღნიშნავს.



15 წლის წინ სწორედ ანდრია პირველწოდებულის სახელზე ეკურთხა სამტრედიაში ტაძარი, რომელიც 21-ე საუკუნის მიჯნაზე პირველი მოქმედი ეკლესია იყო ქალაქის ტერიტორიაზე.

მეუფე საბამ თავის ქადაგებაში ვრცლად ისაუბრა წმინდანების დამსახურებაზე, ზოგადად სარწმუნეობის როლზე, მრევლს რწმენაში გაძლიერებისაკენ მოუწოდა. ასევე დიდი პატივისცემით მოიხსენია რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილი მოძღვარი, რომელიც წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიას გახსნის დღიდან წინამძღვრობდა. მამა გიორგის დასახასიათებლად მეუფე საბამ თბილი სიტყვები არ დაიშურა და ღმერთს ნათელ სასუფეველში მისი სულის დამკვიდრება სთხოვა.

ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში წირვა-ლოცვას სხვა ტაძრის წინამძღვრებიც დაესწრნენ. მეუფეს ქადაგების მოსასმენად იმ დღეს ეკლესია მრევლით იყო გადაჭედილი.

2000 წლის 13 დეკემბრიდან 15 წელია გასული. ამ ხნის განმავლობაში სამტრედიაში რამდენიმე ახალი ტაძარი აიგო და ეკურთხა. მაგრამ ჩვენს ქალაქში არიან ადამიანები, რომლებიც სამტრედიელ ქალბატონს, ნუნუ ნინუას დამსახურებას არ უკარგავენ, რომელმაც თავისი საკუთარი, უცხოვრებელი სახლი ეკლესიას შესწირა.

16 წლის წინანდელ ამბავს ჯონი ნადირაძე ასე იხსენებს: ''მნიშვნელოვანი ტაძარი გახლდათ თავიდანვე, იმიტომ, რომ ქალაქში არ იყო არც ერთი მოქმედი ეკლესია. ამას მაშინ ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. უდიდესია ამაში ქალბატონი ნუნუ ნინუას ღვაწლი. მან დაჟინებით მოითხოვა თავისი საცხოვრებელი სახლის ეკლესიისთვის შეწირვა. მეუფე დაეთანხმა და ყველაფერი იქნა გაკეთებული იმისთვის, რომ ტაძარი ამოქმედებულიყო. უამრავმა მრევლმა მიიღო ამ ტაძარში სარწმუნოება. ამიტომ შეუფასებელია აქ მოქმედი მღვდელმსახურების საქმე. განსაკუთრებით მამა გიორგის, რომელიც დღეს გარდაცვლილია. მინდა, რომ კიდევ ერთხელ მოვიხსენიოთ და მადლობა ვუთხრათ იმ საქმიანობისთვის, რაც მან ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში გააკეთა''.

**ნინო ნანიტაშვილი**

# ჩემი პირველი სასწავლებელი

სკოლაში პირველად ჩემმა დამ წამიყვანა, დედამ ჩემთვის ვერ მოიცალა. ის 1-ლ ცვლაში ატარებდა გაკვეთილს. ცოტა არ იყოს, გული დამწყდა, დედის გარეშე რომ მივედი.

თვალწინ მიდგას ჩემი პირველი მასწავლებელი _ ლეო მოწყობილი. თბილი, ალერსიანი, ტკბილად მოსაუბრე. მას ბევრი გარჯა დასჭირდა იმისათვის, რომ მარჯვენა ხელით დამეწყო წერა.

რუსულის მასწავლებელი _ მარია გრიბნოვა. იგი ხშირად გვათამაშებდა მინი სპექტაკლებს. ძალიან მადლიერი იყო, როცა დღესასწაულებს ყვავილებით ვულოცავდით.

სკოლის ეზოში ორი შენობა იდგა. ერთი ქვის მოზრდილი ნაგებობა, სადაც ძირითადი სასწავლო პროცესები ტარდებოდა, ხოლო მეორე შედარებით მომცრო, ლამაზი აგურის შენობაში სპორტის დარბაზი, ექიმის კაბინეტი, პიონერთა ოთახი და სხვა სათავსოები იყო განლაგებული. სპორტის დარბაზი ჩემი და ჩემი მეგობრის _ ნანი ნანეიშვილისათვის საინტერესო ადგილად გადაიქცა მას შემდეგ, რაც სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელმა, გივი კალაძემ მხატვრულ ტანვარჯიშში ჩვენი წვრთნა დაიწყო. სამწუხაროდ, ჩვენი გატაცება სპორტით დიდხანს არ გაგრძელებულა (დედებს შეეშინდათ რაიმე ტრავმა არ მიგვეღო). გივი კალაძემ ბევრი ნიჭიერი ტანმოვარჯიშე გამოზარდა.

მახსენდება სკოლის დერეფანში მიმავალი შავებში ჩაცმული, პატარა ტანის, ოდნავ ჩასუქებული ქალბატონი, სკოლის დირექტორი შუშანა ქართველიშვილი მის მიმართ, დიდ კრძალვასა და მოწიწებას ვგრძნობდით. საკმარისი იყო, მოჟრიამულე ბავშვებს შორის ჩაევლო, რომ ყველა უმალ გარინდებულიყო. ეს არ იყო შიშით გამოწვეული. ეს მისი პიროვნების მიმართ უდიდესი პატივისცემის გამომხატველი მოქმედება გახლდათ.

1957 წელს ჩვენმა ოჯახმა საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა. ჩემმა დამ, რომელიც იმ წელს დამამთავრებელ, მე-10 კლასში გადავიდა სწავლა იმავე სკოლაში გააგრძელა, მე კი მე-5 კლასიდან სასწავლებლად სახლთან ახლოს მე-2 საშუალო სკოლაში გადავედი. ცოტა არ იყოს, გულში მიხაროდა კიდეც, იმ სკოლაში რომ ვისწავლიდი, სადაც დედა არ ასწავლიდა და მის მკაცრ თვალს მოვშორდებოდი.

დედა ამიერკავკასიის რკინიგზის № 24 საშუალო სკოლაში გეოგრაფიას ასწავლიდა. იგი ძალიან შრომისმოყვარე იყო. გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობით საკუთარი პროფესიის მიმართ. არასდროს გამოუჩენია ლოიალობა შვილებთან დამოკიდებულებაში. მახსოვს, ერთ საღამოს, როცა შვილები დასაძინებლად გაგვისტუმრა, იგი ჩვეულებისამებრ მიუჯდა საწერ მაგიდას და შეუდგა მომდევნო დღის გაკვეთილების გეგმის წერას. მამამ შენიშნა, რომ გამოსაძახებელ ბავშვთა სიაში ჩემი დაც შედიოდა და მეორე დილით გააფრთხილა იგი, რომ გეოგრაფიის გაკვეთილი გადაემეორებინა. დედამ, რა თქმა უნდა, საგანგებოდ მომზადებული მოსწავლე არ გამოიძახა.

დედა გარეგნულად მკაცრი და ამავე დროს საკმაოდ თბილი ადამიანი იყო. უყვარდა თავისი საქმე, ბავშვები. იმავე სითბოს გრძნობდა საპასუხოდ მისი ყოფილი მოსწავლეებისგანაც.

საპროექტო ინსტიტუტში მუშაობისას, სამუშაო დღის დასაწყისში, ამ 15 სართულიანი შენობის ფოიეში 4 ჩქაროსნულ ლიფტთან რიგში მდგომ თანამშრომლებს შორის თვალს მომკრავდა თუ არა დედას ყოფილი მოსწავლე _ ციური შათირიშვილი დამიძახებდა, ჩე-



მი საყვარელი ზინა მასწავლებელი როგორ არისო. ასე გაიგო მთელმა ინსტიტუტმა, რომ დედაჩემი მასწავლებელი იყო.

**ნაზიბროლა გაგუა**

# პატარა კოლექტივის დიდი საქმე

საქართველოს რკინიგზაზე, როგორც საერთოდ სარკინიგზო ტრანსპორტზე, ელექტრომომარაგების მეურნეობის გამართულ მუშაობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საკონტაქტო ქსელის საიმედობას, რაც თავისთავად განსაზღვრავს შემადგენლობების მოძრაობას ლიანდაგებზე, ანუ ტვირთის დადგენილ ვადებში გატარებას და მგზავრთა დროულად გადაყვანას. სააქციო საზოგადოება ელექტროსამონტაჟო სამმართველო აწარმოებს რკინიგზის საკონტაქტო ქსელის მშენებლობისა და მონტაჟის სამუშაოებს, როგორც ქვეყნის დასავლეთ და აღმოსავლეთ რაიონებში, ასევე, უღელტეხილის რკინიგზის მეტად რთულ მონაკვეთზე.

კოლექტივი არ არის მრავალრიცხოვანი, აქ სულ 44 მუშაკია დასაქმებული, მაგრამ სამუშაოები, რომელსაც ასრულებენ, საპასუხისმგებლო და სასიცოცხლო მნიშვნელობისაა რკინიგზის გამართული და ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

სამმართველოდ სამშენებლო ბრიგადა _ ხელმძღვანელი მამუკა ნიკოლეიშვილი _ აწარმოებს საკონტაქტო ქსელის რკინა-ბეტონის ანძებისა და საანკერო ფუნდამენტების, ხისტი განივების დაყენებისა და რკინა-ბეტონის ძველი საყრდენების დემონტაჟის სამუშაოებს. მნიშვნელოვანი და ძალზე შრომატევადი სამუშაოების შესრულება უხდება სამონტაჟო ბრიგადას _ უფროსი გიორგი კოპალეიშვილი _ რომელიც ასრულებს საკონტაქტო ქსელის, მაღალი ძაბვის გრძივი ელექტრომომარაგების და ავტობლოკირების ხაზების მონტაჟის სამუშაოებს. კერძოდ, 350 კოროზირებული ლითონის ანძა შეიცვალა ახალი რკინა-ბეტონის ანძებით. მაგისტრალის 125 წერტილში საკონტაქტო ქსელი გადატანილი იქნა ახალ ანძებზე და რიგელებზე, სადგურ ბათუმში მთლიანად ჩატარდა საკონტაქტო ქსელისა და მისი საყრდენის რეკონსტრუქცია.

სამმართველოში _ სამტრედიაში არსებულ საქმიან ეზოში მზადდება საკონტაქტო ქსელისათვის საჭირო რკინა-ბეტონის ნაკეთობები, ლითონის კონსტრუქციები, საყრდენი ფილები, საკომპენსატორო ტვირთები, ლითონის ხისტი განივები _ რიგელები, კონსოლები, ფიქსატორები, ლითონის ანძები და სხვა კონსტრუქციები.

სამმართველოს შეთანხმებულ მუშაობას უნარიანად ხელმძღვანელობენ სამმართველოს უფროსი _ მერაბ სტურუა და მთავარი ინჟინერი _ ალექსი მაჭავარიანი. კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 2014-2015 წლებში საექსპლუატაციოდ იქნა გაშვებული 19 ობიექტი, რომლებზეც ჩატარდა საკონტაქტო ქსელის, რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის სამუშაოები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონტაქტო ქსელი გაჯანსაღდა სამტრედია-ბათუმის, ბროწეულა-რიონის, ხაშური-მცხეთის უბნებზე, სადგურები _ ფოთში, ბათუმი, აგარაში, ქარელში, კასპში და გორში. ძალზე შრომატევადი სამუშაოები ჩატარდა ლილო-ვაზიანის გადასარბენებზე. მდინარე ლოჭინზე ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით საკონტაქტო ქსელის მოსაწყობად. ამჟამად დამთავრების სტადიაშია მოდერნიზაციის სამუშაოები ოჩხამური-ნატანების გადასარბენებზე და სადგურ ჩაქვში. სამმართველომ სულ ჯამურად ერთი მილიონ ექვსას სამოცდათხუთმეტი ათასი ლარის ღირებულების საამშენებლო სამონტაჟო სამუშაოები ჩაატარა.

მიღწეულ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ავთანდილ ღაღანიძემ, გია ჟვანიამ, უფროსმა ელექტრომექანიკოსებმა: ჯემალ სულაქველიძემ, კობა ნადირაძემ, ელექტრომონტიორებმა: ბადრი გურულმა, ვახტანგ შეყილაძემ, ტრაქტორისტმა ზაზა კაცაძემ, მემანქანე გია კაპანაძემ, ელექტროშემდუღებელმა ბენიამინ ბალანჩივაძემ, ოსტატმა ოთარ დანელიამ და სხვებმა.

გვჯერა, რომ ელექტროსამონტაჟო სამმართველო წარმატებით დაასრულებს მიმდინარე წელს გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოებს და ახალი ენერგიით შეხვდება 2016 წელს!

**რევაზ შამათავა**

# ყველა ასაკობრივ ჯგუფში წაუგებლად



ნინო ნანიტაშვილი

27 აგვისტოს დაიწყო და 12 დეკემბერს დასრულდა 2000-2001 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა შორის საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში.

ვინაიდან სამტრედიის "სამტრედია" იმყოფება უმაღლეს ლიგაში, შესაბამისად ჭაბუკებიც ღებულობენ მონაწილეობას ჭაბუკთა შორის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატში.

აღმოსავლეთ ზონაში 9 გუნდი ასპარეზობს, რაც შეეხება დასავლეთს, თამაშებში 9 გუნდი მონაწილეობს. ჭაბუკთა გუნდ სამტრედიის "სამტრედიამ" აგვისტოდან დეკემბრის ჩათვლით 16 თამაში ითამაშა. აქედან 11 მოგებაა, 5 _ ფრე, არც ერთი წაგება. გატანილია 32 გოლი, საკუთარ კარში 9 გოლი მიიღეს. ქულათა სხვაობით "სამტრედია" უახლოეს მდევარს ზუგდიდის "ზუგდიდის" 5 ქულით უსწრებს, მომდევნოა 8 ქულით ბათუმის "დინამო", 9 ქულით _ ფოთის "კოლხეთი".

ჭაბუკები მომდევნო ასპარეზობას 2016 წლის 27 თებერვალს დაიწყებენ, რომელიც მაისამდე გაგრძელდება. გუნდის მთავარი მწვრთნელია ევგენი დოლიძე, მწვრთნელი კობა მიქაძე.

გუნდის შემადგენლობაში არიან: კაპიტანი და მცველი ბექა ჭოხონელიძე, მეკარეები: _ ნიკოლოზ ჩომახიძე, რეზო ლომიძე, ილო ჩხიკვაძე. მცველები: ვახტანგ შენგელია, ბესიკ წულეისკირი, გივი ტყეშელაშვილი, ამირან ბელთაძე, ამირან ახობაძე. ნახევარმცველები: _ ზურაბ ნადირაძე, გივი ნადირაძე, ლუკა ბარაბაძე, მათე ტერელაძე, ნიკა შენგელია, გოჩა კიწმარიშვილი. თავდამსხმელები: გიორგი ლომიძე, გივი ბარაბაძე, რომან თავაძე.

18 ფეხბურთელიდან მხოლოდ სამია მეზობელი ვანის მკვიდრი, დანარჩენები კი სამტრედიელები არიან. ძირითად ბირთვს 5-6 წელია, ევგენი დოლიძე წვრთნის. ამდენად, მთავარ მწვრთნელს უჭირს რომელიმე მათგანის განსაკუთრებულად გამორჩევა. თუმცა სიამაყით ასახელებს გიორგი ლომიძეს, როგორც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს, რომელსაც 16 თამაშში 17 გოლი აქვს გატანილი.

ევგენი დოლიძის შეფასებით, სამტრედიელმა ჭაბუკებმა პირველ წრეში პროგრამა მაქსიმუმი შეასრულეს: "მადლობელი ვარ ჩემი ბიჭების, რადგან მათ ჩემი შრომა დააფასეს და ამ დროის მანძილზე გამოავლინეს ტექნიკური და ტაქტიკური თვისებები, რამაც საბოლოო ჯამში ზამთრის სეზონის ჩემპიონობა მოგვიტანა. სამომავლოდ ვაპირებთ შეკრებას. 16 იანვრიდან ვიწყებთ აქტიურ მომზადებას ჩემპიონატის მე-2 ნახევრისათვის გვაქვს იმედი, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს დასავლეთის ზონის ჩემპიონის ტიტულით დავასრულებთ. ამის შემდეგ ჩატარდება პლეიოფი, სადაც აღმოსავლეთის ჩემპიონს შევხვდებით და 2000-2001 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა პირველობაში საქართველოს ჩემპიონი გამოვლინდება. კიდევ ვიმეორებ, მაქვს ჩემი ბიჭების იმედი, პროგრამა მაქსიმუმს შევასრულებთ, რომლის გარანტიასაც მაძლევს ის, რომ ყველა ასაკობრივ ჯგუფში წაუგებლად მხოლოდ ჩემმა ბიჭებმა _ სამტრედიის "სამტრედიამ" იასპარეზეს".

ევგენი დოლიძე საფეხბურთო კლუბ "სამტრედიას" ხელმძღვანელობას მადლობას უხდის გუნდზე გაწეული მზრუნველობისათვის.



| გუნდი | თ | მ | ფ | წ | გგ | გმ | +/- | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სამტრედია | 16 | 11 | 5 | 0 | 31 | 9 | 22 | 38 |
| ზუგდიდი | 16 | 10 | 3 | 3 | 34 | 11 | 23 | 33 |
| დინამო ბთ | 16 | 9 | 3 | 4 | 39 | 15 | 24 | 30 |
| კოლხეთი ფ | 16 | 9 | 2 | 5 | 32 | 16 | 16 | 29 |
| ტორპედო | 16 | 5 | 7 | 4 | 22 | 14 | 8 | 22 |
| გურია | 16 | 4 | 6 | 6 | 21 | 23 | -2 | 18 |
| მერანი | 16 | 6 | 0 | 10 | 26 | 28 | -2 | 18 |
| შუქურა | 16 | 4 | 1 | 11 | 18 | 29 | -11 | 13 |
| საპოვნელა | 16 | 0 | 1 | 15 | 6 | 84 | -78 | 1 |



ბესიკ წულეისკირი
ბექა ჭოხონელიძე



რეზო ლომიძე

გიორგი ლომიძე



## ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულნი

დამეთანხმება ყოფილი ყველა პაციენტი და მათი სახელით მინდა გამოვხატო, ჩემი უდიდესი კმაყოფილება სამტრედიის მრავალპროფილური სამედიცინო დაწესებულების მიმართ. მიმდინარე წლის დეკემბერში ამ საავადმყოფოში მომიწია მკურნალობა. იმ ხუთი დღე-ღამის განმავლობაში, რაც იქ ვიწექი უპირველესად ჩემი გამოჯანმრთელება განაპირობა ჩემი ექიმის, ქალბატონ რუსუდან ჭკუასელის და კარდიოლოგ ნუნუ აბრამიას თბილმა და ჰუმანურმა მოპყრობამ. ვთვლი, მათ მე განმკურნეს არა მედიკამენტებით, უპირველესად _ გულთბილი და კეთილი მოპყრობით. მინდა ჩემი ღრმა პატივისცემა გამოვხატო ზემოთხსენებული ექიმების მიმართ და არა მარტო მათ მიმართ _ თერაპიული განყოფილების ყველა ექთნის მიმართ. ქების ღირსია ამ განყოფილების ახალბედა სანიტარი, პატარა გოგონა ქეთი დუნდუა, რომელიც ფუტკარივით თავს დასტრიალებს ყველა ავადმყოფს და მის სამუშაო ობიექტზე მუდამ იდეალური სისუფთავეა.

თანამოქალაქენო! ვიამაყოთ ამ შესანიშნავი დაწესებულებით და მის მეურვე ბატონ ირაკლი ლაღიძეს ვუსურვოთ ულევი სითბო, სიტკბო და სიყვარული. დაე, მომავალი შობა-ახალი წელი ამ კოლექტივის ყველა წევრისათვის იყოს ყველანაირი წარმატების მომტანი.

"მოხუცთა თბილი მოპყრობა
მწამს, ჩაგინერგათ მამებმა
მე მსურს ერთი რამ ვისურვო,
იმრავლონ თქვენისთანებმა!"
გფარავდეთ უფალი!

შალვა ლომინაძე

## მადლობა, თამაზ ექიმო!

სიტყვები არ მყოფნის, თქვენს მიმართ გამოვხატო მადლიერება. თამაზ ექიმო, ნეტავ მრავალი იყოს თქვენისთანა. ბევრი მქონდა გაგონილი თქვენს შესახებ, გაგონილს ნანახი სჯობიაო, _ ჩემი შერყეული ჯანმრთელობის გამო მომიწია თქვენთან მოსვლა და ჩემი წინათგრძნობა გამართლდა. იმრავლოს თქვენისთანა ადამიანებმა ჩვენს ქალაქში და მინდა ორიოდე სიტყვა მივაწვდინო თქვენს ზოგიერთ კოლეგას: მიბაძეთ თამაზ სპირანტს!

თამაზ ექიმო! გილოცავთ მოახლოებულ შობა-ახალ წელს და დიდხანს იდექით ჯანმრთელობის სადარაჯოზე. წმინდა მარიამმა გადაგაფაროთ თავისი კალთა.

ნელი მანჯგალაძე
პაციენტი

## გამარჯვება პროფესიონალ მონარდეებში

ერთ თვეზე მეტია, ქვეყნის ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში საქართველოს ნარდის ფედერაციის ეგიდით ტარდება ღია შესარჩევი ჩემპიონატები მოკლე ნარდში. შეჯიბრების ძირითად მიზანს საქართველოს 2016 წლის ფინალური შეჯიბრებისათვის კანდიდატების შერჩევა წარმოადგენდა. მასში თითოეულ ქალაქში ან მუნიციპალიტეტში ჩატარებული შეჯიბრებიდან 1-8 ადგილზე გასული მოთამაშეები მიიღებენ მონაწილეობას. ჩვენს ქალაქში აღნიშნული ღონისძიებების ჩატარების თარიღად, ქუთაისის, ფოთისა და მარტვილის შემდეგ, 2015 წლის 14 დეკემბერი დადგინდა. შეჯიბრების ჩასატარებლად ჭავჭავაძის ქუჩაზე განთავსებულ "ბემისის" ხელმძღვანელობას, ბატონ ბეჟან კაცაძეს ვთხოვეთ დარბაზი, რომელიც სიამოვნებით დაგვთანხმდა. რისთვისაც საქართველოს ნარდის ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი თემურ ქურციკიძე ამისთვის დიდ მადლობას უხდის მას.

შეჯიბრების კენჭისყრა დღის 12 საათზე დაიწყო და რეგისტრაციის შემდეგ გაირკვა, რომ მასში მონაწილეობისათვის ჩამოსულები იყვნენ მეზობელი რაიონების: სენაკის, მარტვილის, ვანის, ხონის, აბაშის, ქალაქ ქუთაისის პროფესიონალი მონარდეები, სულ 64 მონაწილე, შეჯიბრება 5 ქულამდე ოლიმპიური სისტემით ჩატარდა და ოთხსაათიანი შეხვედრების შემდეგ გამოვლინდა ფინალური ოთხეულის ვინაობა. კერძოდ, ქუთაისლები, დუგლას კავთელაშვილი და თამაზ ტყეშელაშვილი, სენაკელი მალხაზ აფშილავა და სამტრედიელი აკაკი დვალიშვილი. სასიხარულოა, რომ ფინალური შეხვედრები ჩვენი ქალაქის მკვიდრის, აკაკი დვალიშვილის უპირატესობით წარიმართა და მანვე დამსახურებულად მოიპოვა პირველი ადგილი. მეორე ადგილი წილად ხვდა დუგლას კავთელაშვილს და მესამე _ სენაკელ მალხაზ აფშილავას. საპრიზო ადგილებზე გამოსული მონარდეები დაჯილდოვდნენ შესაბამისი ხარისხის მედლებით და ფულადი ჯილდოებით. 1-8 ადგილზე გასულ მონარდეებს გადაეცათ საქართველოს ფინალური შეჯიბრებისათვის დაწესებული სერთიფიკატები. ფინალური შეჯიბრებაში კი, რომელიც თბილისში გაიმართება სამტრედია შემდეგი შემადგენლობით წარსდგება: აკაკი დვალიშვილი, ვაჟა ხუჭუა, გიგა ორმოცაძე, რამაზ თევზაძე და რამაზ თელია.

რამაზ თელია ტურნირის მონაწილე

სამტრედიის მაცნე



# ივერი ჯულაყიძე საქართველოს ჩემპიონია 23 წლამდე ასაკის მოჭიდავეთა შორის



2015 წლის 10-13 დეკემბერს ბათუმში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალი სტილით მოჭიდავე ოცდასამწლამდე ასაკის სპორტსმენთა შორის, ჩემპიონატზე ჩვენი მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბის ''ფალავანი'' (დირექტორი ირაკლი მელაშვილი) თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ასპარეზობდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მიმდინარე წლის მოქმედი ევროპის ჩემპიონის ჭაბუკთა შორის, ივერი ჯულაყიძის ასპარეზობა. 17 წლის მოჭიდავემ, პირველობა მასზე 6 წლით უფროს სპორტსმენს არ დაუთმო. შეგახსენებთ, რომ ივერი მე-10 საჯარო სკოლის (დირექტორი თამარ თევზაძე) მე-11 კლასის მოსწავლეა. ''სამტრედიის მაცნეს'' კომენტარი მისცეს ივერი ჯულაყიძის მწვრთნელებმა, ვეფხია და ლაშა სტურუებმა: ''ივერიმ 5 ბრძოლა გამართა და ხუთივეში დამაჯერებლად გაიმარჯვა. ამ 5 ბრძოლიდან განსაკუთრებულად ერთ-ერთს გამოვყოფდით, რომელშიც შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი დაამარცხა ანგარიშით 8 : 3. ივერის ეს საუკეთესო შედეგი ჩვენთვის, მწვრთნელებისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მისგან სამომავლოდ კიდევ არაერთ ბრწყინვალე გამარჯვებას ველით. ახლოვდება ევროპის ჩემპიონატი, რომელიც გაიმართება ბულგარეთში 22-26 მარტს, სადაც ივერი ჯულაყიძეც მიიღებს მონაწილეობას. ვულოცავთ ივერის და მის ოჯახს ამ წარმატებას, ასევე საჭიდაო კლუბ ''ფალავანს'', რომლის ხელმძღვანელი, ირაკლი მელაშვილი თავადვე გულშემატკივრობდა სამტრედიელ სპორტსმენებს და ასევე ვულოცავთ სამტრედიელ მოჭიდავეთა ქომაგებს. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ჩვენმა მოჭიდავეებმა შმაგი თოდუამ და იმედა ფანცულაიამ მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს. მათი მწვრთნელები არიან ბიძინა მელაშვილი და ზაზა არქანია.

სიამაყით მინდა გითხრათ ისიც, რომ საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელებიც აღაფრთოვანა სამტრედიელი სპორტსმენების ასპარეზობამ''.

''სამტრედიის მაცნე'' ულოცავს სამტრედიელ სპორტსმენებს ამ წარმატებას, ივერი ჯულაყიძეს კი, რომლის სპორტული ბიოგრაფია უკვე არაერთი ბრწყინვალე ტიტულით არის დამშვენებული, კიდევ ბევრი გამარჯვება ეზეიმოს.

***ნათია ნაცვლიშვილი***



# ისევ და ისევ წარმატება



მიმდინარე წლის 5-6 დეკემბერს, ქ. ბათუმში ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ღია ჩემპიონატი კონტაქტიან კარატეში. აღნიშნული ჩემპიონატის ორგანიზატორი გახლდათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონტაქტიანი კარატეს ფედერაცია, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო და საქართველოს შინ-კიოკუშინკაი კარატეს ეროვნული ფედერაცია.

ჩემპიონატში მონაწილეობდა თბილისის, თელავის, ზუგდიდის, ხონის, ტყიბულის, რაჭის რეგიონის, ქობულეთის, ბათუმის და სამტრედიის (სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორი ვანო კილტავა, კარატეს ჯგუფის მწვრთნელ-მასწავლებელი, სენსეი მიხეილ ქანთარია) 18 წლამდე ასაკის სპორტსმენები.

სამტრედიის კარატეს გუნდი დაკომპლექტებული იყო ახალბედა სპორტსმენებით. მათ შორის წარმატებით იასპარეზა 8 წლის ნიკა ნიკურაძემ, გიგა თავაძემ და დემეტრე მეფარიშვილმა, 11 წლის დავით დუნდუამ, მურმან დერბიშმა და 13 წლის საბა არაბიძემ, რომლებმაც მეორე წრეში დათმეს ასპარეზობა და მე-4 ადგილები დაიკავეს.

ასევე წარმატებით იასპარეზეს მათე ლევიძემ და თორნიკე გაგუამ, რომლებმაც მე-2 საპრიზო ადგილები დაიკავეს. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ მედლებით და დიპლომებით.

***მიხეილ ქანთარია***

# ირა მიქაშავიძის გახსენება



საყვარელო ირა დეიდა, საუკეთესო მკურნალო და კეთილშობილო ადამიანო, უხუცესო ქალბატონო, 40 დღე გავიდა, რაც მარადისობაში გადახვედით. თქვენ უდიდესი წვლილი შეიტანეთ ნორჩების სიცოცხლის გადასარჩენად. სწორედ ამისთვის მოგენიჭათ დამსახურებული ექიმისა და სამტრედიის საპატიო მოქალაქის ტიტული. თქვენ მუხლჩაუხრელი, უძილო ღამეებით ყოველთვის იდექით ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე. ''ირა ექიმო!'' – ასე გეძახდათ ყველა, დიდი თუ პატარა. გამორჩეული იყავით ერთგულებით, ცოდნით, პროფესიონალიზმით, ინტელექტით, ცხოვრების წესით, ღვთისმოსაობით. თქვენ მარად დარჩებით ჩვენს მეხსიერებაში სიკეთის, კდემამოსილების სიმბოლოდ. თქვენი ხატია თქვენს მიერ გადარჩენილი თითოეული ბავშვის სიცოცხლე.

საუკეთესო ქალიშვილების, საამაყო, უნიჭიერესი შვილიშვილებისა და შვილთაშვილების აღმზრდელო ძვირფასო ქალბატონო, ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სპეტაკი სული, ყველასათვის მლოცველო, საყვარელო ადამიანო, რომელმაც საკუთარი ცხოვრებით ხელთუქმნელი ძეგლი დაიდგით თაობების გულში.

ქედს ვიხრით თქვენს წინაშე, ჩვენო სათაყვანებელო ირა დეიდა. განისვენეთ მშვიდად იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

***გულიკო მოსიტიძე, ნათელა ჯიმშელეიშვილი,***
***დარეჯან გელეიშვილი, მარინე ჯოგლიძე***

# ვალმოხდილი



9 მაისს მუნიციპალიტეტის თავკაცებთან ერთად შინ ვეწვიეთ, დიდხანს არ გვენახა და გული დაგვწყდა, საწოლში რომ დაგვიხვდა.

ვერც სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან თქვა ჩვეულებრივი შემართებით გამარჯვების დღის სადღეგრძელო.

1918 წელს სოფელ ხიბლარში დაიბადა ბატონი გრიგოლ ხაჟალია.

სრულიად ახალგაზრდა მეორე მსოფლიო ომში ჩაება და ფაშიზმის მზის ჩასვენებამდე იარაღი ეჭირა ხელში.

ლენინგრადის ბლოკადის მონაწილე, ნაჭრილობევი დაბრუნდა შინ, სპეციალური განათლება მიიღო და დიდხანს, დიდხანს იმუშავა რკინიგზის სხვადასხვა ორგანიზაციებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

''საქართველოს დამსახურებული რაციონალიზატორი'', ''რკინიგზის დამსახურებული მუშაკი'' არაერთი ჯილდოს მფლობელი, ღვაწლმოსილი ადამიანი ამ დღეებში უკანასკნელ გზაზე გააცილეს ოჯახის წევრებმა, ახლობლებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

ნათელში იყოს!

***ლევან გაბეჩავა***

### ვენერა დვალის გახსენება

ყოველთვის ტკივილით, სევდით ვეგებებით, ჩვენო ტკბილო დედიკო, შენი გარდაცვალების დღეს. იმ დროს ვიგონებთ ერთად რომ ვიყავით.

გვაკლიხარ და გვენატრები, ნათელში იყავი, ჩვენო ძვირფასო ადამიანო!

***შვილები ოჯახებით***

---

ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების სამტრედიის რაიონული კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, საპატიო რკინიგზელი

**გრიგოლ ხაჟალია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, საპატიო რკინიგზელი, ბატონი

**გრიგოლ ხაჟალია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მზევინარ ბოხუა ოჯახით თანაუგრძნობს თანამშრომელ ციცო თავაძეს მეუღლის, ბატონი

**ჯამბულ შენგელიას**

გარდაცვალების გამო.

''სახლი თანადგომა'' თანაუგრძნობს თანამშრომელ ციცო თავაძეს მეუღლის, ბატონი

**ჯამბულ შენგელიას**

გარდაცვალების გამო.

---

საზოგადოება ''სამტრედიელი'' გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღირსეული ოჯახის ღირსეული შვილი, რაიონის კოლორიტი, ბატონი

**დემურ კანდელაკი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ბატონი

**დემურ კანდელაკი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

მზევინარ ბოხუა ოჯახით თანაუგრძნობს ირმა და ინგა სტურუებს დედისა და ბებიის ქალბატონი

**ჟუჟუნას**

გარდაცვალების გამო.

''სახლი თანადგომა'' თანაუგრძნობს თანამშრომელ ინგა სტურუას ბებიის, ქალბატონ

**ჟუჟუნას**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნეს'' რედაქცია თანაუგრძნობს დავით ცქიტიშვილს

**დედის**

გარდაცვალების გამო.

---

''სახლი თანადგომა'' თანაუგრძნობს თანამშრომელ თამილა ივანიაძეს ძმის, ბატონი

**გივი ივანიაძის**

გარდაცვალების გამო.

---

სს ''საქართველოს რკინიგზის'' დასავლეთ ელექტრომომარაგების სამმართველოს ადმინისტრაცია სამძიმარს უცხადებს მალხაზ გოგიშვილს ცოლისძმის

**შალვა მიქაძის**

გარდაცვალების გამო.

---

### ნანული კიკაბიძე-მელქაძის გახსენება



ჩვენო ტკბილო, კეთილო, თბილო, სათნო და ალერსიანო მეუღლევ და დედავ. გავიდა ტკივილიანი და თვალცრემლიანი ერთი წელი.

უშენობას ვერ ვეგუებით, მუდამ მომღიმარი სახით გვხვდებოდი, დღეს კი უშენობა დაეტყო შენს ოჯახს – მეუღლეს და შვილს. ბევრი სიყვარული და მოგონება დაგვიტოვე. გვიჭირს წარსულში შენზე ლაპარაკი, ჩვენო კეთილისმსურველო და დაუღალავო, ყველა შენი ახლობლის და მეგობრის ჭირ-ვარამის გამზიარებელო.

დედა, დედიკო, ჩემო ერთადერთო დიდო იმედო, გულდამძიმებული და ფრთამოტეხილი დავდივარ ქუჩებში და ყველა ქალში შენს სახეს ვეძებ. სულ შენზე ვფიქრობ. ვამაყობ იმით, რომ შენ ჩემი დედა ხარ და ვიამაყებ სანამ ცოცხალი ვიქნები. გვენატრები ძლიერ და გვაკლიხარ.

იძინე მშვიდად მარადიულ სასუფეველში!

***შენი გელა და ფატი***

---

გაზეთ ''სამტრედიის მაცნე''-ს რედაქცია იუწყება

**ჯამბულ შენგელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# ჯადოსნური ღამეების ნელი ქალაქის ცენტრში

არც 25 დეკემბერს დაელოდნენ, საახალწლო განწყობის შესაქმნელად ნაძვის ხე უკვე ანთებულია და ქალაქის ცენტრალური მოედანი შებინდებიდან დილამდე _ განსაკუთრებით ლამაზი. თუმცა, ეს ყველაფერი არ არის, საახალწლო მზადება სამტრედიაში ამით არ მთავრდება, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მიხეილ ლექავა წინა წლებისგან განსხვავებულ სანახაობრივ მხარეზე საუბრობს: "იქნება სიახლეები სადღესასწაულო ღონისძიებათა ნუსხაში. გვინდა რამდენიმე სიურპრიზი მოვუმზადოთ ბავშვებსაც და ზოგადად სამტრედიელებსაც. ვცდილობთ, საახალწლო დღეები განსაკუთრებულად მხიარული იყოს. სამზადისში კულტურის სამსახური გახლავთ ჩართული და ერთობლივად ვგეგმავთ ღონისძიებებზე მუშაობას."



ისე როგორც წინა წლებში, კომუნალური გაერთიანების ხელმძღვანელობისას, წელსაც დავით ბახტაძის უშუალო ჩარევით მიმდინარეობს სამუშაოები. მასში კომუნალური სამსახური მთელი ძალებითაა ჩართული. ის ადამიანები, ვინც ამ საქმით არიან დაკავებულები, უშუალოდ სამუშაოების მიმდინარეობისას ჩავწერეთ. კომუნალური გაერთიანების განათების სამსახურის უფროსმა, ალექსანდრე კლარჯეიშვილმა აღნიშნა, რომ ამჯერად გამოყოფილი თანხა საკმარისი არ არის იმის განსახორციელებლად, რა ჩანაფიქრიც აქვთ, მაგრამ მაინც ახერხებენ განსაკუთრებული ელფერის შექმნას სადღესასწაულოდ: "13 ათასი ლარი, ისევე როგორც წინა წლებში, წელსაც იხარჯება. თანხა 30 ათასამდე მაინც უნდა გაიზარდოს, რომ ეყოს საქმეს, თუმცა ამჯერად ამ თანხითაც განსაკუთრებული სანახაობის მოწყობას ვცდილობთ. ვფიქრობთ, გამოგვდის!"

გამგებლის პირველი მოადგილე, დავით ბახტაძე აღნიშნავს, რომ "ახალი მასალაც შევიძინეთ _ ნათურები, მოსართავები. თუმცა, კომუნალურმა გაერთიანებამ საკუთარი ძალებით შეაკეთა და გააახლა ძველი ნათურები. წელს უფრო მეტ ტერიტორიას მოვიცავთ, ვიდრე შარშან. ცენტრალური მოედნის გარდა, ქალაქის შემოსასვლელი და ცენტრალური ქუჩებიც განათდება. ასე იყო გასულ წლებში, მაგრამ ამჯერად მეტი საქმე კეთდება იგივე თანხით." მან აქვე აღნიშნა, რომ საახალწლო ქალაქის მორთულობა, ძირითადად ღამის განათებაზეა გათვლილი. და ეს მათ გასაგონად, გასულ წელს ღიმილი რომ მოჰგვარა "დენის ხედ" მონათლულმა ნაძვის ხემ.

კომუნალური გაერთიანების უფროსმა, უკვე ანთებული ნაძვის ხის ძირში გაიხსენა, რომ სამტრედიის გასული წლის საახალწლო ნაძვის ხე ძალიან გავდა პარიზისას. სურათები შარშანაც დავდე შედარებისთვის ფეისბუქ გვერდზეო, გვითხრა. მერე კი, განაცხადა: "იმ თანხით, რაც წინა წლებში იყო გამოყოფილი საახალწლო სამზადისისთვის, წელს მეტის გაკეთება შევძელით, მეტ ტერიტორიას მოვიცავთ გასანათებლად. უფრო ეფექტურ და შთამბეჭდავ სადღესასწაულო ელფერს ვპირდებით სამტრედიელებს."

ეს რაც ჯადოსნურ ღამეებს შეეხება საახალწლოდ, დღე კი, რადგან ქალაქის ცენტრში ნაძვის ხე აქამდე ვერ გაახარეს, დედის ძეგლის მიმდებარედ, გამსახურდიას მოედანზე ხელოვნური ნაძვი მოირთვება. სხვა ნაძვებს დასასვენებელ პარკში ელნათურები აციმციმებს.

უკვე ანთებული ნაძვის ხის ძირში სამუშაოების დასათვალიერებლად მისულ გამგებელსაც წავაწყდით, რომელიც, სასიამოვნო საახალწლო ღამეს, ამ საქმეზე მომუშავე შესაბამისი სამსახურების უფროსების მსგავსად დაგვპირდა.

გარდა ამისა, სხვა საახალწლო სიახლეებიცაა დაგეგმილი. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მედიასთან ურთიერთობის საკითხებში ლიკა დარჯანია ამბობს, რომ: "კულტურის სამსახურთან ერთად არაერთი მხიარული სანახაობა გაიმართება. მოეწყობა დისნეილენდის მსგავსი ქალაქი, სადაც თოვლის ბაბუაც იცხოვრებს და ახალი წლის ღამეს ბავშვებს საჩუქრებს დაურიგებს. აქვე სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი ნაძვის ხეების კონკურსი მოეწყობა. წლის ბოლოსთვის დაჯილდოვდებიან წლის წარმატებული სამტრედიელები, რომლებმაც სხვადასხვა სფეროში ისახელეს თავი. გაიმართება გამგებლის ნაძვის ხის ზეიმი. 31 დეკემბერს კონცერტი ადგილობრივი ძალებით გაიმართება, თუმცა გვეყოლება სტუმრებიც. ჯერჯერობით გადაწყვეტილია, რომ სამტრედიაში მარკუს მეტრეველი იმღერებს. ველოდებით შოუ-ბიზნესის სხვა წარმომადგენლებსაც. ფეიერვერკი თავისთავად დაასრულებს ამ კონცერტს. ერთი სიტყვით, კარგ სანახაობას ვპირდებით საახალწლოდ სამტრედიელებს."

ამ ყველაფრით იმის თქმას ვაპირებთ, რომ თუ მხოლოდ საახალწლოდ მორთული ქალაქით ვიმსჯელებთ, ახდენილი ოცნებებისა რა მოგახსენოთ და, საახალწლო დღეები და ღამეები სამტრედიაში ჯადოსნურად ლამაზი უნდა იყოს.

*თეა ბაზუნაშვილი*

## ბატონ ლევან გაბეჩავას!

კარგ კალმოსანს, დიდებულ რიტორს, სულიერების მებაირაღეს, ღირსეულ მამულიშვილს გულითადად ვულოცავ ღირსშესანიშნავ თარიღს _ დაბადების დღეს! გისურვებთ, დღეთა სიმრავლეს, დიდხანს გეღვაწოთ თქვენი და ჩვენი ქალაქის საკეთილდღეოდ!

*თქვენი თაყვანისმცემელი*
*გია ბოჭორიშვილი*

## "ყური უგდე საქართველოს"
## "ლადის" კიდევ ერთი ტრიუმფი

კავკასიის საერთაშორისო _ ფესტივლების ასოციაციის (ხელმძღვანელი ამირან ბუთურიშვილი, ფესტივალ-კონკურსის ორგანიზატორი ნანა მიშელაძე), მიწვევით ფოლკ-ჯგუფი "ლადი" 19 დეკემბერს, ნიკოლოზობის ბრწყინვალე დღესასწაულზე დედაქალაქის მსმენელის წინაშე წარსდგა. ფესტივალის მხარდამჭერები არიან: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი, საქართველოს კულტურის დ ძეგლთა დაცვის სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების და კულტურის სამინისტრო.

"ყური უგდე საქართველოს..." _ ასე ერქვა 2015 წლის პირველ ღია ფოლკლორულ ფესტივალკონკურსს, რომელშიც სამტრედიელთა საყვარელმა ჯგუფმა სოლიდურ წარმატებას მიაღწია. ჯგუფმა პირველი ხარისხის 3 მედალი და 4 საპატიო დიპლომი დაიმსახურა.

ევროპის საერთაშორისო ფესტივლის გამარჯვებული და ოქროს ვარსკვლავის მფლობელი "ლადი" ამჯერად შემდეგ ნომინაციებში დააჯილდოვეს: 1. ქართული ფოლკლორის სრულყოფაგანვითარებაში შეტანილი წვლილისა და 2015 წლის პირველ ღია ფესტივალ-კონკურსში მიღწეული წარმატებისათვის. 2. ხალხურ საკრავებზე გამორჩეული კომპოზიციისთვის. 3. მიენიჭა ფესტივალკონკურსის საუკეთესო საპატიო ტრიოს წოდება. 4. მიენიჭა მხარდამჭერთა რჩეულის საპატიო წოდება.

როგორც ჯგუფის მენეჯერმა, ბატონმა ბეჟან გოგიამ გვითხრა, "ლადი" მუდმივად ახლის ძიებაშია, ის ერთი დღითაც არ დუნდება, ეს ნიჭიერი ახალგაზრდები თავიანთი მიღწევებით თანაქალაქელებს კიდევ არაერთხელ გაახარებენ.

ვუსურვებთ ჩვენს, "სამტრედიის მაცნეს" კედლებში შობილ ამ ჯგუფს, დამდეგ, 2016 წელს მისთვის კიდევ ბევრი შემოქმედებითი მიღწევა და აღიარება მოეტანოს.

*ნათია ნაცვლიშვილი*



## ხათუნა და დათო!

გილოცავთ ნიკოლოზის დაბადებას, ნინას ერთი წლის შესრულებას, ხათუნას დაბადების დღეს!

ჩვენო საყვარლებო, იყავით ბედნიერები, წარმატებულები, სიყვარულით აღსავსენი.

*მშობლები:*
*იზოლდა ნადირაძე*
*მიშა ქანთარია*

## ახალი წელი მოვიდა!

*ვუძღვნი სამტრედიის № 2 ბაგა-ბაღს, მრავალ შობა-ახალ წელს ვულოცავ კეთილი სურვილებით!*

ახალი წელი მოვიდა,
მოვიდა წელი ნანატრი,
დავეშვით ლაღად გორიდან
ბექა, საბა და ნანატრი.
წინ მურამ გადაგვირბინა,
კატას მისდევდა ღრენითა,
კატამ უთუოდ იწყინა,
ხეზე გავარდა წყენითა.
მურა დავტუქსეთ და რისხვით
ის მოვარიდეთ კატასა,
კატა ხეზე ზის, იგონებს
ბრძოლებს თავგადანატანსა.

### ახალი წლის მოლოდინში

ახალი წლის მოლოდინში
თვალი გარბის საათისკენ,
დედა ამბობს: _ თქვენ ბოდიში!
აბა, გასწით ლოგინისკენ!
ბებო ტკბილად გვეფერება,
ჩვენს ბრაზიან სახეს კოცნის,
განა ვინმე გვემტერება,
მიგვაცილებს სიტყვა ლოცვის.
მამა ამბობს: _ გაგაღვიძებთ!
შეგახვედრებთ ახალ წელსო,
აბა, მამის დანაპირებს
რაღა უნდა დააკვნესო.

### ნაძვის ხეო

ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო,
ახალი წლის მოდის დილა.
გაგვითენე მშვიდი დღეო,
რომ არა თქვან, მოიწყინა
ბექამ, საბამ და სალომემ
ლუკამ ფიქრის ათინათმა,
ჯავრს გულში ნუ დაგვიტოვებ,
გაგახაროთ ღმერთის მადლმა.

*დავით ჩირგაძე*

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
სამტრედიის მაცნე
დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა